



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**
სსიპ ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ა) ირმა ხუციშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

წევრები:

ბ) იზაბელა იოსელიანი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) მაია ქევხიშვილი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) ნინო კილაძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ე) ლალი ლალიაშვილი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ნინო ზირაქაძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ თეა ღვინიაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) სოფიო ხვადაგიანი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ნატო გერგაია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) მიხეილ გაფრინდაშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) მაკა ინაშვილი - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	241572507

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ენისელი
იურიდიული მისამართი	ყვარლის მუნიციპალიტეტი სოფელი ენისელი;
ფაქტობრივი მისამართი	ყვარლის მუნიციპალიტეტი სოფელი ენისელი; ყვარლის მუნიციპალიტეტის, სოფელი შაქრიანი
საფოსტო ინდექსი	4807; 4815
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	eniseli@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577122319

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 2 23 0001082623
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	23, 24 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი სოფელი ენისელი, სოფელი შაქრიანი.
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ენისელი; სოფელი შაქრიანი.

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ენისელი.
--	--	------------------	-------------	--

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისლის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდად წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია. შედგა ექსპერტების ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. სკოლა სწავლებას ახორციელებს ორ მისამართზე კერძოდ: სოფელ ენისელში ახორციელებს ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო სოფელ შაქრიანში ზოგადი განათლების დაწყებითსა და საბაზო საფეხურ. სოფელი ენისელიდან სოფელი შაქრიანი დაახლოებით 15 კმ მანძილზე. განხორციელდა სკოლის მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანანაშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი საგნობრივი კათედრის მასწავლებლებს, მოიპოვეს მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. მოსაზრებების ურთიერთშეჯერება და მხარეთა არგუმენტირებული პოზიციები სკოლის მხარდაჭერისა და განვითარებისკენ იყო მიმართული.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა



VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 360	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა მეტწილად შესაბამისად შეაფასა დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ -ის შესაბამისად, უზრუნველყოს ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დასაქმება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფელ ენისელსა და სოფელ შაქრიანში მდებარე ორივე შენობის 1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. 2. მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან შესაბამისობის ვადით განსაზღვრულ ვადაში. 3. მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის (მდგრადობის) შესახებ დასკვნა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



		4.სკოლას მიეცა რეკომენდაცია ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შაქრიანში არსებულ შენობაში უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტი (პუნქტი) ფუნქციონირება და ექიმი/ექთნის დასაქმება.
ინდიკატორი 3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სოფელ ენისელში მდებარე შენობის მეორე სართულზე შშმ პირებისთვის გადაადგილების შესაძლებლობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
ინდიკატორი 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ.გვერდისა/ვებ.გვერდ შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ვებგვერდის ფუნქციონირება შესაბამისობის ვადით განსაზღვრულ ვადაში.
ინდიკატორი 3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებ.გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე,ასევე იმ ენაზე,რომელზეც ახორციელებს სწავლებას.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ვებგვერდის ფუნქციონირება შესაბამისობის ვადით განსაზღვრულ ვადაში.
ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ.გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაცი: სკოლის შესახებ, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურული პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები,ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშ-სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ვებგვერდის ფუნქციონირება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში სპორტული დარბაზის ფუნქციონირება.



		სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში სპორტული დარბაზის ფუნქციონირება.
		სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა
		სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სოფ. ენისელსა და შაქრიანში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სოფ. ენისელში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	რჩევა



	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.4.1.1.	ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი რჩევა: უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიღება.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.2		
	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	1. სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრის მასწავლებლებმა განახორციელონ და წარმოაჩინონ არაფორმალური კუთხით განხორციელებული აქტივობები და პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სასურველია, სკოლაში არსებობდეს აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით არჭურვილი საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან სწავლებას. 2. სასურველია, გადაიხედოს დაწყებითი კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები, ჩასწორდეს კონტექსტმაგალითები თემის კონტექსტთან მიმართებით. მე-5 და მე-6 კლასების შემთხვევაში თემატური ბლოკის ფარგლებში დამუშავდეს სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება.



		3. სასურველია, დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის კურიკულუმის თემებში სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, ქვეცნებები გაწეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის ყველა პრინციპის მიხედვით, ცვალოს ქვეცნებები და საკითხები მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. აგრეთვე 4. კურიკულუმში გაწერილ თემებში სრულად ასახოს დაგეგმილი კომპლექსური დავალების იდეა.
ინდიკატორი 2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;	1. სასურველია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები დაკონკრეტდეს და მორგებული იყოს სხვადასხვა თემაში სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე. სასწავლო წლის განმავლობაში თითოეული თემის ფარგლებში დაგეგმილ კომპლექსურ დავალებას დაერთოს შესაბამისი და არა მხოლოდ საერთო ხასიათის შეფასების რუბრიკები. 2. სასურველია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლებმა დაგეგმვისას ყურადღება გაამახვილონ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, გამოწვევებს და შეფასება მოხდეს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. (მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგების უკუკავშირის. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ.
ინდიკატორი 2.2.2.2.	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;	სახელმწიფო ენის კათედრის წევრებს მიეცა რჩევა, დამატებით შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემისა და დავალებისათვის.
ინდიკატორი 2.2.2.4.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას მიეცა რჩევა, რომ მომზადდეს შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი.) კომპლექსური დავალებებისთვის, რომელთა განხორციელებაც იგეგმება კურიკულუმით. რათა მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს.
ინდიკატორი 2.2.2.5.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას მიეცა რჩევა, კათედრის შეხვედრებზე განიხილონ მოსწავლეების მიღწევები და გაანალიზონ, თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენ
ინდიკატორი 2.3.1.3.	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	შეფასებისა და მონიტორინგის პროცესის გაძლიერების მიზნით სკოლამ სასურველია გაითვალისწინოს სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.

ინდიკატორი 2.3.2.4.	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.	სასურველია, სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ.
---------------------	---	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ III სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისი, რადგან 3.1.2.4. და 3.4.1.1. , 3. 5.1.3., 3.6.3.1, 3.6.3.4., 3.6.3.5. ინდიკატორები შეფასდა „მეტწილად შესაბამისი“, ასევე II სტანდარტის 2.2. ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისლის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლას შემუშავებული ჰქონდა სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული განვითარების გეგმა. ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სტანდარტების მიღების შემდეგ სასკოლო საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება სკოლის ფილოსოფიის გადახედვის და ახალი სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების შესახებ. სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, შემუშავდა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია თანასწორუფლებიან და მხარდამჭერ გარემოში თავისუფალი პიროვნების აღზრდაზე, რომელიც აცნობიერებს პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ღირებულებების მიმართ და მზადაა, მონაწილეობა მიიღოს უკეთესი მსოფლიოს შექმნაში; აღჭურვოს იგი თანამედროვე ცოდნითა და უნარებით სწრაფად ცვალებად სამყაროში წარმატებული თვითრეალიზაციისათვის. სკოლის ხედვის თანახმად, სკოლაში თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად და მიისწრაფვის საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფისკენ. სკოლა წარმოადგენს სივრცეს, რომელშიც მუდმივად ხდება ცოდნის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების მხარდასაჭერად.

სკოლა ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე: გამჭვირვალობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება ჩამოუყალიბოს, დაეხმაროს ოჯახის, საზოგადოებისა სახელმწიფოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. აღჭურვოს იგი თანამედროვე ცოდნითა და უნარებით სწრაფად ცვალებად სამყაროში წარმატებული თვითრეალიზაციისათვის. ხედვის თანახმად, სკოლაში სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით, სკოლასა და ოჯახის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიიღწევა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე თაობების აღზრდა. თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად და სკოლა წარმოადგენს სივრცეს, რომელშიც მუდმივად ხდება ცოდნის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N2-65 ბრძანებით შეიქმნა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. ბრძანების შესაბამისად, ჯგუფი შემადგენლობაში არიან მასწავლებლები, მოსწავლე და მშობელი. სკოლის დირექტორის განცხადებით, სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ ონლაინ გამოკითხვის საშუალებით. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში განთავსებული იყო ბმული, რომლის საშუალებითაც დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. მათი მხრიდან რჩევების შემდეგ, მომზადდა მისიისა და ხედვის საბოლოო ვერსია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა წარმოდგენილი დოკუმენტის შემუშავებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისიის, ხედვის პროექტი განთავსებული იყო სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში, სამუშაო შეხვედრებსა და მშობელთა კრებებზე. დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შემუშავდა მისიის, ხედვის და ღირებულებების საბოლოო ვერსია. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში. წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან(2023წ 7 სექტემბერი სხდომაN1) და დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ 2023წლის 7სექტემბერს N1 სხდომაზე. სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია სკოლის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები) განთავსებულია სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე. საჯარო და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა სსიპ ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისლის საჯარო სკოლა, სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
2. 2023 წლის 06.09. N2-65 ბრძანება სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების და სტრატეგიული /სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
3. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

- სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის N2-72 ბრძანებით(2023წ. 08 სექტემბერი), რომლის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან სამუშაო ჯგუფი და სასკოლო საზოგადოება (სკოლის დირექცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი). მეთოდოლოგიური დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით; სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. დოკუმენტში გაწერილია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების ეტაპები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030წ. რომელიც არის ციკლური, რაც გაწერილია წარმოდგენილ დოკუმენტში წლების მიხედვით. როგორც ავლნიშნეთ , სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და დაეხმაროს გააცნობიეროს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე უფლება- მოვალეობები. ხედვის თანახმად, სკოლაში სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით, სკოლასა და ოჯახის კონსტრუქციული თანამშრომლობით მოხდება პასუხისმგებლობის გადანაწილებით მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე თაობების აღზრდა. სტრატეგიული განვითარების წარმოდგენილი გეგმის თანახმად, სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სკოლის სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 21 სექტემბერის N2 სხდომაზე. სკოლის სტრატეგიული გეგმის მიზნები თავსებადია სკოლის მისიასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 21 სექტემბრის N2 სხდომაზე. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე, იქმნება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას. სკოლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებს, ამოცანებს, აქტივობებს (საჭიროების შემთხვევაში - ქვეაქტივობებსაც), შესრულების ინდიკატორებს, განხორციელების ვადებს თვეების ჭრილში, პასუხისმგებელ პირს/სტრუქტურულ ერთეულს, შემსრულებელ პირს/სტრუქტურულ ერთეულს, შესაბამის რესურსებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
2. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2023-2030წ.
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024წ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-11 მუხლის თანახმად, სკოლა ყოველწლიურად ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 3 წელწადში და შვიდი წლის შემდეგ სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს. გეგმების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება შეფასებით და დაკვირვებით, რამდენადაა მიღწეული დაგეგმილი მიზნები და შემდგომ კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. მონიტორინგისთვის ასევე გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს მისცემს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები (საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პირები) წარადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია ადგენს SWOT ანალიზს, რომლის საფუძველზეც ხდება სკოლის შესაძლებლობების და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ანალიზის შედეგად ხორციელდება მომდევნო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. სასწავლო წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს წარედგინება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ყოველწლიურად ანგარიში წარედგინება სამეურვეო საბჭოს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს გამოთხოვის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვს მიიღოს აღნიშნული დოკუმენტი. სკოლა აპირებს ვებ.გვერდზე განათავსოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის შედეგები. გაზიარებისთვის ასევე გამოყენებული იქნება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი, სკოლის ფეისბუკ გვერდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ დაიწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2023-2030წ
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024წ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის დირექტორის 2023 წლის 24 ოქტომბრის N2-87 ბრძანებით დამტკიცებული დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის საფუძველზეც, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ შემუშავებული დებულებების შესაბამისად. პერსონალის ფუნქციები გაწერილია შრომითი ხელშეკრულებებში. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის, ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებები. გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულების თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი მოვალეობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის საშტატო განრიგი. განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში, სადაც მკაფიოდაა აღწერილი დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები. ასევე, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. სამუშაო აღწერილობები შეესაბამება სამოქმედო გეგმაში გაწერილ პასუხისმგებლობებს. სკოლა იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპებს. ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში თანამშრომლები წარმოადგენდნენ არსებულ მოთხოვნილ დოკუმენტაციას და ექსპერტებს გვაძლევდნენ კითხვის შესაბამის პასუხებს. სასკოლო საზოგადოების წევრები იაზრებდნენ ფუნქციებს სკოლის მთლიანი საგანმანათლებლო საქმიანობის კონტექსტში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 24 ოქტომბრის N2-87 ბრძანება
2. თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

4. სკოლის შინაგანაწესი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს N2 სხდომის ოქმი 2023წ. 21.09) რომლის თანახმად ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით; დოკუმენტის თანახმად, განსაზღვრულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, ამოცანები. ღირებულებები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების როლი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში, თანამშრომელთა ადაპტაცია და სხვა. სკოლაში ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას.

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შევსებულების მიცემის წესი, სასწავლო პროცესის რეგულაციები. სკოლის შინაგანაწესი საჯაროა და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შინაგანაწესთან და კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება მასში ცვლილების შეტანა და გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებების აღრიცხვა ხდება ტაბელით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. 2020 წლის 27 ნოემბრის N 1/კ-22 ბრძანებით სკოლაში დამტკიცებულია ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნა და მისი დებულება. დებულების თანახმად, ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას, დაკვირვებას, აძლევს

განმავითარებელ უკუკავშირს, განიხილავს პროფესიული განვითარების განსახორციელებელ აქტივობებს, კერძოდ, თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, ტრენინგების ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე.

სკოლას შემუშავებული აქვს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი. პერსონალის მოზიდვა ხდება საჭიროებებიდან გამომდინარე, კონკურსის საფუძველზე, რის შემდეგაც თითოეულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

სკოლაში მასწავლებელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კონკურსი ცხადდება ღიად და გამჭვირვალედ. თუ სკოლას არ ჰყავს შიდა კადრი ამ შემთხვევაში ცხადდება ღია კონკურსი წესების და ვადების შესაბამისად. დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საკონკურსო კომისიას განცხადება განთავსდება www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე. საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებულია კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს კონკრეტული საკონკურსო კომისია, რაც ასახული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს და ქმნის თანამშრომელთა პირად საქმეებს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნების სწავლებისთვის დასაქმებულია 35 პედაგოგი, მათგან - 25 უფროსი, 9 წამყვანი, 1 მენტორი. სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის N174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სპეციალურ მოთხოვნებს. ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში არსებული თითოეული საშტატო ერთეულის მიხედვით. სკოლას ყველა თანამშრომელთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები. მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სტატუსის შესაბამისია და განსაზღვრულია უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები. პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია ძირითად შეესაბამება კანონით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, **გარდა ექიმისა,**

რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2024 წლის 29 მარტი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია: კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოს ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დასაქმება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. ინდიკატორი სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ გადაწყვეტილებები სკოლაში მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლაში არის კოლეგიური სტრუქტურული ერთეული პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვის მიმართულებით აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლის შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შეესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, სკოლა დასაქმებულთა მიმართ გამოიყენებს წახალისების ფორმებს:

- ა) მაღლობის გამოცხადება;
- ბ) სიგელით დაჯილდოება;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
- ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლები ხშირად წარმოადგენენ საკუთარი გამოცდილებას სამუშაო შეხვედრების დროს. საკუთარი მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების წარდგენის, პრეზენტაციის გამოფენის შედეგად ყოველთვის აკეთებენ ანალიზს და აღნიშნავენ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში: USAID საგანმანათლებლო პროგრამაში, „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“-კონკურსში, მონაწილეობა მიიღეს რაიონულ ღონისძიებაში „ამერიკული დღეები ყვარელში“, სკოლამ მონაწილეობა მიიღო ასევე მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციაში „ჩემი წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკა“, პედაგოგები დაჯილდოვდნენ მადლობის სიგელებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
2. შინაგანაწესი
3. ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 წ
5. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

- რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების წევრები ეხმარებიან კოლეგებს საჭიროების დადგენაში, წინსვლასა და განვითარებაში. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებზე. ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას ტრენინგებისა და კონფერენციების შესახებ. მონაწილეობენ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სავალდებულო ტრენინგებში (უფროსი მასწავლებლებისათვის სავალდებულო 20 სთ.). დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგს, მასტერკლასს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას.

სკოლაში შემქნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. კათედრებზე ხდება ურთიერთდასწრების შედეგების განხილვა და ანალიზი. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევის, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვის მიმართულებით.

დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ კეთდება თვითშეფასება, რის საფუძველზეც თითოეული მათგანი ადგენს განვითარების გეგმას. ასევე სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის გაკვეთილებზე დასწრების განრიგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობას. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ. უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებას არსებული პროფესიული განვითარების ტრენინგების, კონფერენციების, პროექტების, საპილოტე პროგრამების, კარიერული წინსვლის აქტივობების შესახებ, რაც ხელს უწყობს, მასწავლებელთა/თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უწყვეტობას, სტატუსის ამაღლებას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და აქტივობები. ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციის მიზნით თანამშრომელთა ვალდებულებები.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ახალი თანამშრომლები ეცნობიან სკოლაში დამკვიდრებულ წესებს, რაც უმარტივეს სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს. აღნიშნულ პროცესებში განსაკუთრებული როლი აქვთ სკოლის დირექციას, კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოს. ხდება მათი წარდგენა სასკოლო საზოგადოების წინაშე (პედსაბჭო, მოსწავლეების, მშობლების). სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელშიც გაწერილია სკოლის მხრიდან შესაბამისი ვალდებულებები, (სკოლა ვალდებულია დასაქმებულს შეუქმნას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები და უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო გარემოთი), რაც ადასტურებს **ინდიკატორთან შესაბამისობას.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების რეალიზებაში. ამისათვის სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებითა და სათანადო პირობებით. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და ურთიერთთანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
2. შინაგანაწესი
3. ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.
4. სამოქმედო გეგმა 2023-2024წ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, დამტკიცებული დირექტორის N 2-87. (24.10.2023წ.) ბრძანებით, რომლის თანახმად, განსაზღვრულია შიდა და გარე შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი, ადამიანური რესურსების შეფასება და სხვა. შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ციკლს: დაგეგმე, განხორციელე, შეამოწმე, განავითარე. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება სკოლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგლებში გამოყენებული იქნება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების მეშვეობით მოხდება კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და მასზე ორიენტირებული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში შექმნილია მართვის ერთიანი სისტემა. ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით ხელს უწყობენ სკოლაში შექმნილი მართვის ერთიანი სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. სკოლას აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ერთობლივი ძალისხმევით ხდება სკოლის მმართველობითი საქმიანობის წარმართვა. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლის თანახმად, სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი უნდა გატარდეს და მასზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი წესით. სკოლის დირექტორის 2023 წლის 24 ოქტომბრის N2-87 ბრძანებით, დამტკიცებულია

სკოლის გასაჩივრების პროცედურები. დირექტორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში მითითებულია გასაჩივრების ვადა და ადგილი.

ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში პერსონალის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის მექანიზმი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით, სადაც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. ასევე დაცვის მექანიზმები განისაზღვრება თანამშრომელსა და სკოლას, მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულებებით.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმი. დირექტორის ბრძანება N2-32. 26.06.2023წ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
2. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
3. შინაგანაწესი
4. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
5. შრომითი ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა



1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლის დირექციის, დამრიგებლების, მასწავლებლების მიერ სისტემატიურად ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სოციალური ქსელში ხდება სიახლეების განთავსება. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლები იღებენ შვილის აკადემიური შედეგების, საგაკვეთილო პროცესზე დასწრების შესახებ ინფორმაციას. მშობელთა კრებებზე ხდება რეკომენდაციების, შემოთავაზებების მიღება ვითარების გაუმჯობესების მიზნით. სკოლის ადმინისტრაცია იღებს უკუკავშირის, ანალიზებს და რეაგირების მიზნით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამეურვეო საბჭოს სხდომებზე წევრი მშობლები არიან ჩართული სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ განხილვაში. მათი მხრიდან მოცემული უკუკავშირი არის ორიენტირებული არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე.

მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში, სამეურვეო, პედაგოგიურ და მრჩეველთა საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში, გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე. ისე ჯგუფებში ჩართულები არიან მშობლები. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელია გაერთიანებული. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024წ
3. დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ
4. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები.
5. მოსწავლეთა თვითმმართველობის მასალები.
6. სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების (ისგ) შექმნის შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;



5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დასაქმებულია დარაჯი, დამლაგებელი, ექიმი, რომლებიც ზრუნავენ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვაზე. სკოლას ჰყავს ორი მანდატური. სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები.

სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სსიპ ილია შავერდაშვილის სახ. ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისელის საჯარო სკოლის შენობა ნაგებობის დეტალური სახანძრო ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი N481 მიწერილობა. დოკუმენტში შესასრულებელი ღონისძიებების შესრულების ბოლო ვადად განსაზღვრულია 2019 წელი, თუმცა ამ დროისთვის სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა, ასევე არ აქვს სოფელ შაქრიანში მდებარე შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ. სკოლამ ვერ წარმოადგინა აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ტექნიკური მდგომარეობის(მდგრადობის) შეფასების შესახებ დასკვნა, როგორც სოფელ ენისელში მდებარე, ასევე სოფელ შაქრიანში მდებარე შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.

სკოლაში(ენისელის შენობაში) ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით ჰყავს ექიმი, რომელიც დახმარებას უწევს სასკოლო საზოგადოებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანება N41/5/01-23/5-ის შესაბამისად სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამავე ბრძანების შესაბამისად სკოლის მეორე შენობაში, რომელიც მდებარეობს სოფელ შაქრიანში, არ არის სამედიცინო კაბინეტი (ფუნქტი) და არ ჰყავთ ექიმი/ექთანი.

სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებას. სკოლაში არ არის შექმნილი საგანგებო შტაბი. ასევე სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2024 წლის 27 ნოემბერი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია: 1. მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა. 2. უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან. 3. მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. 4. უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის მოწყობა და ექიმის/ექთნის მომსახურება შაქრიანში მდებარე სკოლის შენობაში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში. აქედან გამომდინარე ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე იყო შეფასებული როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა მეტწილად შესაბამისი.

2. კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. ამ მიზნით აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრები თემებზე: მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა აქტიურია არაფორმალური განათლების მიმართულებით. 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია აქტივობები მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით. კერძოდ, მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმის დანერგვა, სწავლა-სწავლების პროცესში მხარდაჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება, კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმის დახვეწა, კლუბების/წრეების ფუნქციონირება, შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა (გასვლითი გაკვეთილები, მიზნობრივი ექსკურსიები და ა.შ.) ორგანიზება. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.

სკოლაში არის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. ბავშვთა მიმართ ძალადობის და რეფერირების პროცედურა სკოლაში არ მომხდარა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში დაცულია სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები. სკოლაში ხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის სანიტარული დასუფთავება. ყოველდღიურად ხდება სასწავლო ოთახების და სკოლების საერთო სარგებლობის ფართების სანიტარიული დასუფთავება და განიავება; სკოლაში ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. დირექტორის 2023 წლის 26. 06 . N2-32 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, გაწერილია მონაცემების დამუშავება, გამოყენების მიზნები, დაცვა, მოსწავლის მონაცემების დაცვა ჟურნალის წარმოების შემთხვევაში და ა.შ. მონაცემები მუშავდება კანონიერად და კონკრეტული მიზნის მისაღწევად, სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ინტერესთა დაცვით, მიზნის პროპორციულად, კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა განადგურდეს. მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მშობლების თანხმობის საფუძველზე.

სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი, რომლის მუშაობა რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად. რომელიც დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის დირექტორს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

6. სკოლა კანონმდებლობის სრული დაცვით იცავს და ინახავს ინფორმაციას. ინფორმაციულ- უსაფრთხოების დაცვის მიზნით პროგრამები, რომლებსაც სკოლა იყენებს ლიცენზირებულია, სკოლა იყენებს მხოლოდ განათლების სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის საქმისმწარმოებელი. ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების შეტანაზე, ინფორმაციის კორექტირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მასვე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7.სკოლის აქვს ცალკე დოკუმენტად შემუშავებული უსაფრთხოების პოლიტიკა, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2023წ . 21 სექტემბრის N2 სხდომაზე, დოკუმენტი განსაზღვრავს უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების მიზნებს, უზრუნველყოფის

ფორმებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოების დაცვას, შინაგანაწესის მონიტორინგს და ა. შ. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და გეგმავს პრევენციულ ღონისძიებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ.
3. უსაფრთხოების პოლიტიკა.
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
5. მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება.
6. შრომითი ხელშეკრულებები.
7. ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტიგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, არსებობის ვადით, სარგებლობაში აქვს გადაცემული შენობა ნაგებობა სოფელ შაქრიანში საერთო ფართობით 3800კვ.მ, შენობა-ნაგებობა- 300კვ.მ, მიწის ნაკვეთი 3719 კვ.მ. და სოფელ ენისელში შენობა-ნაგებობა 458,6 კვ.მ , მიწის ფართობი 2482კვ.მ. სოფელ ენისელში შენობა ორსართულიანია, სკოლის ინფრასტრუქტურა, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, არ არის რეაბილიტირებული. სააქტო დარბაზი, პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი და კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლას აქვს პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის ფონდით სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს. ბიბლიოთეკას აქვს განახლებული ანბანური და თემატური კატალოგი. რაც შეეხება მეორე შენობას, რომელიც მდებარეობს სოფელ შაქრიანში, ახალი აშენებული შენობაა, საკლასო ოთახები არის გამავალი. სკოლაში ადაპტირებული გარემოა, არის რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სკოლაში დასაქმებულ პირთათვის, ასევე მოსწავლეებისთვის. ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიების სარგებლობის წესი.

ეზოში მოწყობილია რეკრეაციული სივრცე. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების პროცედურები და აღჭურვილია ყველა შესაბამისი რესურსითა და მედიკამენტით.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლის შენობა სოფელ შაქრიანში ადაპტირებულია, ხოლო რაც შეეხება სოფელ ენისელში არსებულ სკოლის შენობის შესასვლელთან მოწყობილია პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შენობის პირველ სართულზე შესვლას. სკოლას აქვს რესურს ოთახი, ადაპტირებული საპირფარეო. სკოლაში დასაქმებულია 1 სპეციალური მასწავლებელი, 1 ასისტენტი. აღსანიშნავია, რომ სკოლის ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია მდებარეობს მეორე სართულზე. მეორე სართულზე ასავლელად არ არის პანდუსი. სკოლის შენობის მეორე სართულზე გადაადგილების შესაძლებლობა ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილი არ არის, სადაც მდებარეობს სკოლის ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.5.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2024 წლის 29 სექტემბერი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სოფელ ენისელში მდებარე შენობის მეორე სართულზე უზრუნველყოს შშმ პირების გადაადგილების შესაძლებლობა. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე იყო შეფასებული „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. სკოლის სივრცეები (ფოიე, ბიბლიოთეკა, ეზო, სტადიონი) გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, კონკურსებისა და ვიქტორინებისათვის. სკოლის ფოიეში (რომელშიც სკოლის ყველა მოსწავლე შეიძლება განთავსდეს) იმართება პროექტების პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, შეხვედრები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციალ-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ბიბლიოთეკაში მოსწავლეებს მუშაობა, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც არსებული წიგნადი ფონდი წარმოადგენს სკოლის საკუთრებას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის გრიფინიჭებული სახელმძღვანელო, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ილუსტრირებული მასალები გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებიდან, დამხმარე

სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების თითოეული ეგზემპლარი დამუშავებულია სათანადო წესით და მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი. სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში, აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა განვითარებისათვის. სკოლაში სსსმ მოსწავლეებისთვის არის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსი. სკოლის არცერთ შენობაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ხოლო სოფელ შაქრიანში მდებარე შენობაში არ არის კომპიუტერული ლაბორატორია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვიზუალური დათვალიერება
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
3. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას



1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბალანსზე ირიცხება 5 პერსონალური კომპიუტერი, 6 ლეპტოპი, 4 პროექტორი, პრინტერი-4. სოფელ ენისელში მდებარე შენობაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელსაც სასწავლო მიზნებისათვის იყენებენ მოსწავლეები და მასწავლებლები. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. რაც შეეხება სოფელ შაქრიანში, სკოლას კომპიუტერული ლაბორატორია არ აქვს. რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სოფელ ენისელში, სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. მასწავლებლებს შეუძლიათ გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, სკოლაში არის 4 პროექტორი, რომელთა გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს აქვთ საშუალება კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენონ დავალებებისა და პროექტებზე მუშაობისათვის. სოფელ შაქრიანში კომპიუტერული ლაბორატორია არ არის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შესყიდვის დოკუმენტაცია.
2. სკოლის ვიზუალური დათვალიერება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება ხდება eflow-ს მეშვეობით, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება, რომელსაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი, იტვირთება ბრძანებები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმითაც. სკოლაში არ არის გამოყოფილი საკადრო და საერთო ბრძანებები. ბრძანებებს რიგითობის მიხედვით ენიჭება ინდივიდუალური ნომერი. სკოლაში მიმდინარეობს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, სადაც ყოველი კალენდარული წლის მიხედვით თანმიმდევრულად ინომრება ხელშეკრულებები და ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლას აქვს შემუშავებული საქმისწარმოების წესი.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით. მოქმედებს eflow-ს სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ასევე, მოხსენებითი ბარათების ატვირთვა. იტვირთება ბრძანებები, რომელიც სკოლაში გამოიცემა. Eschool-ის სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის პროცესი, ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და სხვა. ასევე ბაზაში არის ინფორმაცია, თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ბაზაში განთავსებულია საგაკვეთილო განრიგი/ცხრილი, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, ხარისხის ჯგუფის შემადგენლობა, სახელმძღვანელოები. სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გაცვლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის სისტემაში სრულყოფილი პროფილი, რომელშიც სრულად არის ასახული მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. პროფილის განახლება ხდება უწყვეტ რეჟიმში. განხორციელებულია საგნების განაწილება, შედგენილია ცხრილები, არჩეულია სახელმძღვანელოები, დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება დროულად აწვდის უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. შემოსული განცხადებები თუ წერილი სკოლის დირექტორის მიერ ეწერება შესაბამის უფლებამოსილ პირს შემდგომი რეაგირებისათვის, რომელსაც განესაზღვრება ინფორმაციის დირექტორისათვის წარდგენის ვადა. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანებების საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალი.

2. Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სკოლის სოციალური ქსელის გვერდის საშუალებით. მასზე განთავსებულია სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. იტვირთება მიმდინარე პროცესების ამსახველი ინფორმაცია. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას ასევე მშობელთა კრებებზე, შეხვედრებზე, ინდივიდუალური გასაუბრებისას. ასევე აწვდის ინფორმაციას სატელეფონო ზარის საშუალებით. სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ამ ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2024 წლის 28 იანვარი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი, რომელიც შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

2. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლაში არსებულ რეალობას და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლას აქვს მისი დოკუმენტური დადასტურების საშუალება. მოქალაქის მომართვის შემთხვევაში სკოლაზე განცხადებით, ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. იწყება ინფორმაციის მოძიების პროცესი, რაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



3. სკოლა უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის გათვალისწინებას შემდგომ საქმიანობაში. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებისათვის და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლის საქმისმწარმოებელი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-თი, მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ით შემოსულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის ადრესატს და დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას არ აქვს ვებგვერდი.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ამ ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2024 წლის 28 იანვარი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი, რომელიც შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

5. სკოლას არ აქვს ვებგვერდი.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ამ ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2024 წლის 28 იანვარი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი, რომელიც შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექციასთან გასაუბრება.

2. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის ოქმში წარმოდგენილია 2022 წლის ფინანსური ანგარიშის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიშის განხილვა და 2023 წლის ბიუჯეტის განხილვა. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის მიერ შემუშავებულია შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. ასევე, განსაზღვრულია გეგმის კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირიც, ვინც ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებასა და გეგმის კორექტირებას. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების წესი, შესყიდვების გეგმა, რისი შემუშავებაც ხდება ბაზრის კვლევისა და საგნობრივი კათედრებისა და სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ფინანსური ანგარიში.
2. ინვენტარიზაციის მასალები
3. ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი
4. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი .

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები ითვალისწინებს მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, სკოლის მართვაში ჩართულობას, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმირებულობას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მოსწავლის კანონიერი უფლებები და გარანტიები დაცული და უზრუნველყოფილია შინაგანაწესით. სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. გაწერილია მოსწავლეთა რეგულირების წესი. დირექტორის ბრძანების შესაბამისად დაცულია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები. სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა.

სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის შენობაში პირველ სართულზე, საინფორმაციო დაფაზე, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მშობელთა კრებებზე ხდება შინაგანაწესის გაცნობა, მშობელთან და სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეტანილია შინაგანაწესის გაცნობის აუცილებლობა, რაც ხელმოწერით

დასტურდება. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს და დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება რეგულაციების გაცნობის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები, მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის დროს (პირველ კლასში ან/და მობილობით ნებისმიერ კლასში) მშობელი ეცნობა ხელშეკრულების პირობებს, დირექცია საჭიროების შემთხვევაში აძლევს განმარტებებს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის უფლებები და მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის ბრძანება NN2-76. 11.10.2023წ.
3. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები.
4. 2023-2024 სასწავლო წლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;



4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლე ირიცხება სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N2- 87(24.10.2023წ) მოსწავლის მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, რომელიც განთავსდება საინფორმაციო სისტემის მართვის ელექტრონულ გვერდზე და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხდება რეაგირება დირექტორის მიერ გამოცემულ ნორმატიული აქტით. სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლეზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც განთავსებულია შინაგანაწესით განსაზღვრული დოკუმენტები. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და eschool - ის ბაზის ვიზუალური დათვალიერებით და მოსწავლეთა პირადი საქმეებით დასტურდება, რომ სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. მოსწავლის მობილობა ხორციელდება ბრძანება N04/ნ-ის შესაბამისად, ხოლო ესგ მუხლი 35-ის მიხედვით განისაზღვრება კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები.

სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის სასკოლო- სასწავლო გეგმით განსაზღვრულია კლასის დამრიგებლის ფუნქციები, სადაც ერთ-ერთ ვალდებულებად გაწერილია სასწავლო სასკოლო გეგმის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები. სკოლის შენობაში განთავსებულია საჯაროდ კლუბების შესახებ ინფორმაცია. სკოლაში არ ფუნქციონირებს არცერთი წრე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული. აღნიშნული ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ მშობელთა კრებებზე, შეხვედრებზე, სატელეფონო შეტყობინებებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასალები სასკოლო კლუბების შესახებ.

2. სასკოლო სასწავლო გეგმა 3. სკოლის ფეისბუკ გვერდი. 4. ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N2-71 დამტკიცებულია სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები, პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია, რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, მის ხასიათს, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკურობას. სკოლაში ტარდება გასაუბრებები მოსწავლეებთან და მშობლებთან, სასკოლო გარემოს გაცნობა, კლასის წინაშე წარდგენა, მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა, საჭიროების შემთხვევაში იმართება დამატებითი შეხვედრები და საუბრები მხარდაჭერისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს მოსწავლეთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოსთან. სანამ სასწავლო წელი დაიწყება, საბავშვო ბაღის აღსაზრდელები მასწავლებლებთან ერთად მოდიან სკოლაში და ეცნობიან სასკოლო გარემოს. სწავლის დაწყებისას ეწყობა ღონისძიება, ათვალთვლებენ სკოლას, კლასში ხვდებით სადღესასწაულოდ მომზადებული გარემო. ყველა დანარჩენი კლასის დამრიგებელი აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ესაუბრება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. დამრიგებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მხარდაჭერილი იქნება მათი ინიციატივები და სკოლა ხელს შეეწყობს მათი ინტერესების შესაბამისად აქტივობებისა და დაგეგმვასა და განხორციელებას. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინიციატივების შესახებ მსჯელობა კი დაგეგმვა და განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მასწავლებლები უტარებენ მოსწავლეებს ინდივიდუალურ შეხვედრებს დამატებითი მეცადინეობების სახით. მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს და შეიმუშავენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა სტრატეგიებს. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აცნობებენ მშობლებს ინფორმაციას კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% -ის და მეტის გაცდენების გამო ექსტერნის გამოცდების დანიშნის თობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია, რომ საშემოდგომო

გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის. სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მას დაენიშნა აღნიშნული ტიპის გამოცდა.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე თვალსაჩინოაა გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, 2023-2024 სასწავლო სასკოლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კონსულტაციები საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში. საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. შესაბამისი გამოცდები ინიშნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი. სკოლაში დირექტორის N2-60. 19.10.2016წ. ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას. სკოლა თანამშრომლობს მანდატურის სამსახურთან და მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად საჭიროების მიხედვით აწვდის ინფორმაციას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა აქტიურია არაფორმალური განათლების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შეადგენლობებისა და ინტერესების რეალიზაციას. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ინიცირებულია და ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის პერსონალით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობებისა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას. სკოლაში ტარდება სასკოლო ღონისძიებები, ეწყობა ექსკურსიები, პროექტები. ყველა ღონისძიება ეწყობა კანონმდებლობის სრული დაცვით. სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს მოქმედ რეგულაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, დამტკიცებული დირექტორის ბრძანება N2-77. 11. 10. 2023წ. რომლის შესაბამისადაც სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებაში, ძირითად ფუნქციებში გაწერილია, რომ იცავს მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს სკოლის დირექციასთან, წარუდგენს დირექციას სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე მათ მოსაზრებებსა და შეხედულებებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს და სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს სამომავლო გეგმებში და გამოთქვამს მუდმივ მზადყოფნას, რათა მიიღოს მოსწავლეთა უკუკავშირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 08.09. N2-71 მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმების დამტკიცების თაობაზე.
2. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
3. არაფრომალური აქტივობების ამსახველი მასალა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია ყველა პირობა მოსწავლეებისათვის გაეცნონ სხვადასხვა პროფესიას. სკოლაში იწვევენ სხვადასხვა სფეროს წარმატებულ წარმომადგენლებს, რათა პირადი გამოცდილება გაუზიარონ მოსწავლეებს და მიაწოდონ ინფორმაცია მათი პროფესიების შესახებ. პერიოდულად სკოლაში სტუმრობენ სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები და ატარებენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს. ასევე, კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს პროფორიენტაციის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა პროფესიულ კოლეჯ „პრესტიჟთან“ გაფორმებული მემორანდუმი. მოსწავლეების კარიერული განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით სკოლა თანამშრომლობს აღნიშნულ კოლეჯთან და ახორციელებს ბევრ საინტერესო აქტივობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში IX კლასის დამრიგებლები მოსწავლეებთან და მშობლებთან მართავენ შეხვედრებს და აწვდიან ინფორმაციას პროფესიული სასწავლებლების შესახებ. დამრიგებლები უზრუნველყოფენ კოლეჯების პროგრამების მოსწავლეებისათვის გაცნობას. ასევე მათ მიეწოდებათ ინფორმაცია საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლამ წარმოადინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ მეორე უცხო ენის და არჩევითი საგნის არჩევის საკითხი განხილული იყო მშობლებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით. დირექტორის განცხადებით, სკოლა გეგმავს ანალიზისა და კვლევის საფუძველზე მაქსიმალურად გაითვალისწინოს სურვილები და მოლოდინები, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა მოთხოვნები და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლი დირექტორის 2023 წლის 8 სექტემბრის N2-71 ბრძანება სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები.
2. მშობელთა კრების ოქმები
3. სადამრიგებლო პროგრამები
4. მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯ „პრესტიჟთან“

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო წლის გეგმის ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. არსებული მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. თითოეულ ნაწილში განმარტებულია თუ რა მოიაზრება მათ ქვეშ, რა არის გასაკეთებელი თითოეული მიმართულებით. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სკოლა ახორციელებს სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერას. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლის დირექციასთან და სპეციალურ მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მშობლები მონაწილეობენ ინდივიდუალური გეგმის შედგენის განხილვაში. ესწრებიან მშობელთა კრებებს, ინდივიდუალურ შეხვედრებს, ეცნობიან ბავშვების მიღწევებს, ნამუშევრებს. ასევე ითვალისწინებენ საგნის მასწავლებლების, დამრიგებლის და სპეცმასწავლებლის რეკომენდაციებს. მულტიდისციპლინული გუნდის დასკვნის საფუძველზე და მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლის მიხედვითაც შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და რომლითაც ხელმძღვანელობენ წლის განმავლობაში. საგნის პედაგოგები იღებენ რეკომენდაციებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და დირექციისგან. ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. აღნიშნული ისგ ჯგუფები შეიმუშავენ ინდ. გეგმებს, რომლებსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

;დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



1. 2023-20234 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
3. სკოლის დირექტორის ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ.
4. სკოლის დირექტორის 2023 წლის 17. 10 . N2-79 ბრძანება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების (ისგ)შექმნის შესახებ.
5. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და აითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს. მხოლოდ ტრანსპორტის მომსახურებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ არის შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში გააზრებული აქვთ, რომ მომსახურება იქნება ნებაყოფლობითი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სკოლა დროებით სარგებლობაში გაცემული მომსახურების , სხვა დამატებით მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს. თუმცა მოსწავლეთა ინტერესებისა და სურვილის შესაბამისად, მზად არიან შესაბამისი მომსახურება კანონმდებლობის სრული დაცვით შესთავაზონ მოსწავლეებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2. გასაუბრება დირექციასთან.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის აგების, დანერგვის და განვითარების პრინციპები, გამოკვეთილია მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, დირექციის როლი, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში, რაც იძლევა სასკოლო საზოგადოების შეხედულებების, ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარება. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია-მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. დოკუმენტში აღწერილია ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე რა ეტაპები მიმდინარეობს კერძოდ ხდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სადაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების დადგენა და მისი გათვალისწინება კურიკულუმების შედგენის დროს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც აღწერილია, როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო გეგმის შედგენამდე მიმდინარეობს ინტენსიური შეხვედრები მშობლებთან. სკოლაში დანერგილია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესების დადგენა, რაც აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასწავლო პროექტები და მშობელთა ჩართულობა შესაძლებლობას იძლევა, რომ კურიკულუმის შედგენისას დაიგეგმოს და სწავლების ნაწილად იქცეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებიც. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სხვა მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი ჩამოყალიბებულია დოკუმენტში – „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. მასში აღწერილია, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. გამოკვეთილია რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმომადგენლებს. მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომლებიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ ჯგუფის მიერ. კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან ორიენტირებულია საბოლოო შედეგებზე, რომლებიც მიიღწევა საფეხურის ბოლოს, მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს მიმდინარე წელს არსებული ხარვეზები ან/და გამოწვევები აღმოფხვრას შემდეგ სასწავლო წელს. კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. შესრულებული კომპლექსური დავალებების შედეგად გამოკვეთილი ინტერესები, საჭიროებები და მიღებული ცოდნა კი გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ კურიკულუმის საბოლოო ვერსიების შესადგენად.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტის – „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ და სკოლის წარმომადგენლებთან პირადი გასაუბრების საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. შესაბამისად, დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმომადგენელს. სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია

სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა გამოიყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს, სკოლის ვებგვერდს, Teams-ის პლატფორმას. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას: შემუშავებას და მათ გაზიარებას საკლასო კრებებზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობით ჯგუფში, რასაც ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ვინაიდან, კურიკულუმების სისტემა ახალია და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და გააზრების პროცესს, სწორი მიდგომების განსაზღვრას დრო სჭირდება, კათედრა გეგმავს, რომ ტრენინგებზე დასწრებითა და კონსულტაციების გავლის შედეგად მაქსიმალურად უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის გამართულობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
2. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
3. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მოცემული კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი მეტწილად ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას.

ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით.

ტექნოლოგიების პედაგოგთან გასაუბრების შედეგად გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ პედაგოგს არ აქვს გამოცდილება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისა, ამჟამად წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუში არის ქოუჩის მიწოდებული, შესაბამისად იდეა და კურიკულუმის აგების პრინციპები მასწავლებელს სწორად ვერ აქვს გააზრებული

სკოლას მიეცა რჩევა - დაიხვეწოს კურიკულუმის ჩარჩოები, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე, ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე ხდება, შესაბამისად, პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა შემდგომ ეტაპზე დაამატონ უფრო მრავალფეროვანი დავალებები. სკოლაში ამჟამად არ არის საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტი, თუმცა არის სივრცე, სადაც განთავსებულია მცირე რაოდენობის, არასაკმარისი ხელსაწყოები, მატერიალური რესურსები, თვალსაჩინოებები. სასურველია, სკოლაში არსებობდეს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომლის გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რჩევა: ა) სახელმწიფო ენის კათედრამ განხორციელოს და წარმოაჩინოს არაფორმალური კუთხით განხორციელებული აქტივობები და პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, გულისხმობს ზოგჯერ საგანთაშორის ინტეგრირებასა და მოსწავლეთა შორის შემოქმედებითი, კრიტიკული, სოციალური თუ ა.შ. უნარების განვითარებასაც. ბ) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში ჩასწორდეს კონტექსტ მაგალითები თემის კონტექსტთან მიმართებით. თემატური ბლოკის ფარგლებში დამუშავდეს სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება. გ) ტექნოლოგიების კურიკულუმი დაიგეგმოს საგნობრივი სტანდარტების მიხედვით და ორიენტირებული იყოს 6 ფუნქციური უნარის განვითარებაზე. დ) სპორტის კურიკულუმებში, თემებში სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, ქვეცნებები გაწეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის ყველა პრინციპის მიხედვით, აგრეთვე კურიკულუმში გაწერილ თემებში სრულად ასახოს დაგეგმილი კომპლექსური დავალების იდეა, რისი მზაობაც გამოხატა კათედრამ.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კუნსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლას აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული/ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ინგლისურ ენაში, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები). ასევე, წარმოდგენილი საგნების (ინგლისური ენა, რუსული ენა) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია სხვადასხვა სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. ამ მსჯელობას ამყარებს ის ფაქტი, რომ პედაგოგებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას, ამ მიმართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდური ორიენტირები. გაწერილია მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი

საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის სხვადასხვა მეთოდებს (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ თამაშებს, სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში სათანადო სტატუსის მქონე მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს

სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შემუშავებული რუბრიკების მოდელი. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება მიმდინარე სასწავლო პროცესში, ძირითადად ამ ეტაპზე იყენებენ განმავითარებელ ზეპირ სიტყვიერ კომენტარს, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს. შეფასების ინსტრუმენტები იქმნება ისე, რომ გაზომოს საგნის სწავლების გრძელვადიანი მიზნები. გასაუბრებიდან დგინდება, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასების სქემებს, მეთოდებსა და აქტივობებს (რუბრიკები, მაორგანიზებელი ცხრილები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, შუქნიშანი, 3-2-1, დიახ-არა ბარათები, ღიმილაკები, ...) კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებს თითოეული მოსწავლის მიღწევას, გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვას და ქცევას. მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ამზადებს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და აწვდის მშობელს, ინახავს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ გამოიყენოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ახალი სტრატეგიები და ფორმები: კერძოდ, დიაგნოსტიკური შეფასების კითხვარი, პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიის ინსტრუმენტი. სკოლისა და მასწავლებლებისთვის გამოწვევად რჩება შეფასების მეთოდის სიღრმისეულად გაგება, რისთვისაც სკოლა მაქსიმალურად ჩაერთვება შესაბამის ტრენინგ-სემინარებში, რათა მოხდეს გააზრება და დახვეწა.

სკოლას მიეცა რჩევა: ა) ესთეტიკური აღზრდის საგნებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები დაკონკრეტდეს და მორგებული იყოს სხვადასხვა თემაში სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე. სპორტის კურიკულუმებში გაწერილი თემების (რომელშიც სასურველია დაწყებითების ყველა კლასში შეიტანონ განსხვავებული შინაარსის თემები, რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება.) დაგეგმილ კომპლექსურ დავალებას დაერთოს შესაბამისი და არა მხოლოდ საერთო ხასიათის შეფასების რუბრიკები.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია, კათედრის სხდომის იქმნები) და აგრეთვე დირექციასთან, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ყურდნობიან მოსწავლეთა საჭიროებებს. სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. სკოლას მწირი გამოცდილება აქვს სასწავლო პროცესი წარმართოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და გრძელვადიანი მიზნების დასამუშავებლად განახორციელოს შუალედური მიზნები/კომპლექსური დავალებები. თუმცა გასაუბრების დროს პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, კურიკულუმების დაგეგმვისას ყურადღება მიექცეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, გამოწვევებს და შეფასება მოხდეს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო .
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. კათედრის სხდომის ოქმები.
5. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
6. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ წარმოდგენილ კურიკულუმებში გამოკვეთილია საკვანძო სტრუქტურული ერთეულები: თემა, საკითხი, ცნება, რესურსი. სკოლა დაწყებით საფეხურზე გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას, ცოდნა შეიძინოს ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასწავლო პროცესში დიდი როლი ენიჭება მოსწავლის მოტივაციისა და თანამშრომლობითი კულტურის ამაღლებას: გუნდური, ჯგუფური, წყვილებში მუშაობით. მასწავლებელი გეგმავს მრავალფეროვან, სახალისო და საინტერესო აქტივობებს, რომელიც მოსწავლეში აღვივებს შემოქმედებითობისა და ჩართულობის უნარს. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა არ ყოფილა ჩართული „ახალი სკოლის მოდელში“ და მათთვის სიახლეს წარმოადგენს სამუშაო პროცესის განხორციელება



კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. მათ კარგად ესმით, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსწავლის მოტივაციის, ჩართულობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით უცხოური ენის კათედრას დაგეგმილი აქვს შესაბამისი კომპლექსური დავალებების დამუშავება (მაგ: რუსული ენა V კლასი - პრეზენტაცია თემაზე „ზღაპრის გმირების ოჯახის გენეალოგიური ხე“; ინგლისური ენა III კლასში - ნახატების პრეზენტაცია „ჩემი საოცნებო სახლი“...). ამასთან, საგნების კურიკულუმებში სასკოლო სახლმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის გარდა, წარმოდგენილი დამხმარე რესურსების უმეტესობა და „მაგალითები შედარებისთვის“ შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. მაგ., ინგლისური ენის V კლასში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია- განცხადების შედგენა შინაური ცხოველისათვის დახმარების აღმოჩენის თემაზე, სადაც მასწავლებელს შეთავაზებული აქვს როგორც “მაგალითი შედარებისთვის” განცხადების მახასიათებლები და შესაბამისი ნიმუში. მიმდინარე სასწავლო წლისათვის დაგეგმილია დაწყებით საფეხურზე შიდა სასკოლო კონკურსების ჩატარება, რომლის ფარგლებში მოსწავლეებს მიეცემა შესაძლებლობა, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესებში

ყურადსაღებია, რომ ენისლის საჯარო სკოლის სოფ. შაქრიანის ტერიტორიაზე არსებული შენობის (აქ განთავსებულია დაწყებითი და საბაზო საფეხური) გარე და შიდა სივრცე არ იძლევა საშუალებას, სრულყოფილად განახორციელოს ე.ს.გ-ით გათვალისწინებული ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში გაწერილი თემები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარებაზე და სადაც მუშავდება სამივე სამიზნე ცნება, სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ვერ ხორციელდება სპორტის კურიკულუმებში გაწერილ ფიზიკურ აქტივობებზე გათვლილი თემები, 1-6 კლასებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები (მოძრავი თამაშები), სადაც აუცილებელია უკლებლივ ყველა მოსწავლის ჩართვა, მათი ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სათანადოდ იქნეს განხორციელებული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას, სკოლის ძირითად შენობაში არ არის სრულყოფილი კომპიუტერული ლაბორატორია, სოფ. შაქრიანის შენობაში არ არის ინტერნეტთან წვდომა, არ არის კომპიუტერები. შესაბამისად ვერ ტარდება გამართულად ტექნოლოგიების გაკვეთილი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოწავლისთვის ნაცნობ კონტექსტსა და შედარების მაგალითებს, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. დაწყებით საფეხურზე მასწავლებელი კურიკულუმს გეგმავს ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი ჯგუფი, ცოდნის უნარი და საჭიროებები. ახალი მასალის მიწოდებამდე, ეტაპობრივად, კონსტრუქტივისტული პრინციპების გამოყენებით ხდება მოსწავლეთა ცოდნის ჩამოყალიბება, წინარე ცოდნა-გამოცდილებებზე დაყრდნობით მოსწავლე შეიმეცნებს ახალს. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი

პრობლემის გადაჭრა, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. ამასთან, გასაუბრებიდან გამომდინარე, მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების გაცნობით, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან.

ყურადსაღებია, კომპიუტერული ლაბორატორიის არარსებობის გამო სკოლაში ვერ ტარდება სრულყოფილი გაკვეთილები და ვერ ხერხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაშენებით. სოფ. შაქრიანში განთავსებულ სკოლაში, ვერ ტარდება ტექნოლოგიების გაკვეთილი.

სოფ. შაქრიანში ფიზიკურად არ არსებობს სპორტული ინფრასტრუქტურა და ვერ ტარდება სპორტის გაკვეთილები სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებით საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, რეფლექსია და სხვა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცესში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში გრძელდება და მნიშვნელოვანია, რომ შექმნილი პროდუქტი ყველა მოსწავლემ წარმოადგინოს პრეზენტაციის სახით. ეს მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ყურადღება მიაქციოს არა მხოლოდ იმას, რას სწავლობს თითოეული მოსწავლე, არამედ იმასაც, თუ რა ხერხებსა და სტრატეგიებს იყენებს სწავლის პროცესში. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა მაქსიმალურად წახალისონ მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში.

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი ბაზის არარსებობის გამო აღნიშნული პროცესი ვერ ხორციელდება სოფ. შაქრიანის შენობაში განთავსებულ სკოლაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბერი, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) თანახმად, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას, რაზეც მეტყველებს წარმოდგენილი კურიკულუმები. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში არ შემოიფარგლებიან მოსწავლეებისათვის მხოლოდ დეკლარატიული ცოდნის მიწოდებით, ისინი მოსწავლეებს რჩევებით, უკუკავშირით, გამოყენებული სტრატეგიებით ეხმარებიან ამ ცოდნის პროცედურულ ცოდნად გარდაქმნაში, ხოლო მოსწავლეებში პირობისეულ ცოდნად ჩამოყალიბებას მასწავლებლები სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებითა და განმავითარებელი კომენტარებით ახორციელებენ. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძიება. ასეთებია მაგალითად, ინგლისური ენის მე-4 კლასის დავალება „მოიძიე და წარუდგინე თანატოლებს ინფორმაცია იმ ქვეყნის შესახებ სადაც გსურს გაატარო ზაფხულის ერთ კვირა. რა ქვია დედაქალაქს? რა ენაზე საუბრობენ? როგორი ამინდია ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელი? რომელია სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა? და სხვა“ და რუსული ენის მე-6 კლასის დავალება „მოამზადე კომიქსი შენი საყვარელი ზღაპრის გმირის შესახებ და წარადგინე კლასის წინაშე.“ გარდა ამისა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზეც მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

სკოლას მიეცა რჩევა: სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმა უფრო მეტად წარმოაჩინონ, როგორ ახერხებენ ცოდნის სამივე კატეგორიის შესაბამისი აქტივობების განხორციელებას და მეტი კომპლექსური ბუნების დავალებები ასახონ საგნობრივ კურიკულუმში. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები დამუშავდეს ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ როგორც ფაქტობრივი ცოდნის, ასევე ამ ცოდნის რეალიზება და სხვადასხვა კონტექსტში ადეკვატურად გამოყენება.

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ვერ ხორციელდება სპორტისა და ტექნოლოგიების ხარისხიანი გაკვეთილები სოფ. შაქრიანის შენობაში განთავსებულ სკოლაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები (ზოგჯერ იდეის დონეზე), როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც

საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ასახულია კურიკულუმში, ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომლებიც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. კურიკულუმის ჩარჩოში ასახული კომპლექსური დავალებები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. პედაგოგების გამოცდილების გათვალისწინებით დაიგეგმა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის შედგენილ კურიკულუმში შემავალ კომპლექსურ დავალებებში შეიტანონ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, აგრეთვე, ამ თვალსაზრისით გადაიხედოს ახალი კომპლექსური დავალებები. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ეხმარებიან მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში. ამისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანთა ინტეგრირება და პროექტული სწავლება. მასწავლებლებს აქვთ ინტეგრირების გამოცდილება. მაგალითად მოიყვანეს მე-6 კლასში ჩატარებული გაკვეთილი თემაზე „რიცხვითი სახელები“, სადაც მოსწავლეებმა ნათლად დაინახეს საგანთა შორის კავშირი. (ქართული-მათემატიკა)

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი ბაზის არარსებობის გამო აღნიშნული პროცესი ვერ ხორციელდება სპორტისა და ტექნოლოგიების გაკვეთილზე სოფ. შაქრიანის შენობაში განთავსებულ სკოლაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები
2. კომპლექსური დავალებები
3. სასწავლო პროექტები
4. ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;



4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა და (რესურსებს, მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. მათემატიკის საგნობრივ (I - VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას.

სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ კონსტრუქციული, სიღრმისეული სწავლის მიდგომების განსახორციელებლად აუცილებელია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის, ამას კი უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და სრულყოფილად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები თავისი რეფლექსიითა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზით.

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი ბაზის არარსებობის გამო აღნიშნული პროცესი ვერ ხორციელდება სპორტისა და ვტექნოლოგიების გაკვეთილებზე სოფ. შაქრიანის შენობაში განთავსებულ სკოლაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი სასაგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომლის საფუძველზე შედგენილია ა) სადამრიგებლო პროგრამა, ბ) სასკოლო ცხოვრებაში

მშობელთა ჩართულობის პროგრამა. პროგრამები არის სახელმძღვანელო, სარეკომენდაციო ყველა კლასისთვის, მათში დაგეგმილია ე.ს.გ. გათვალისწინებული მოთხოვნების განხორციელების გზები და საშუალებები. საკლასო სივრცეში წამოჭრილი პრობლემების გათვალისწინებით იგეგმება სადამრიგებლო საათები, განიხილება ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა ჯანსაღი ცხოვრების წესი, გარემოს დაცვა, ბუღინგი, ემპათია. შესაბამისად, კითხვები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალურ განვითარებისკენ. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული სასკოლო პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების და ურთიერთობის უნარების განვითარებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში.

სკოლას მიეცა რჩევა: საზოგადოებრივი კათედრის მასწავლებლებმა სასწავლო პროცესში ისე დაიგეგმონ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა ჰქონდეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, გამოკვეთოს ძლიერი და სუსტი მხარეები; მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი და გაიაზროს პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი ბაზის არარსებობის გამო სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვა ვერ ხორციელდება სოფ.

შაქრიანის შენობაში განთავსებულ სკოლაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით ქმნის შეფასების რუბრიკებს მოსწავლეების აკადემიური უნარების შესაფასებლად. სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. წარმოდგენილი უცხოური ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკებიდან ჩანს და ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. ასევე, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუს შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდოლოგიური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტიკა განვითარების ყველა მიმართულების (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი ბაზის არარსებობის გამო სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვა ვერ ხორციელდება სოფ. შაქრიანის შენობაში განთავსებულ სკოლაში.

სკოლას მიეცა რჩევა, სახელმწიფო ენის კათედრაზე დამატებით შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბერი, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომელთა ანალიზიც იძლევა იმის საშუალებას, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შემუშავებულია შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები. ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან კონკრეტულ სიტუაციაში. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე, მას გააზრებული აქვს დადებითად რომ შეფასდეს, რა და როგორ უნდა გააკეთოს. კომპლექსური დავალებების შემაჯამებელ დავალებად წარდგენის პროცესში იმავე მითითება-კრიტერიუმების გადაყვანა ხდება განმსაზღვრელ შეფასებად. რადგან სასკოლო შეფასება მუდმივად ვითარდება, მომავალ სასწავლო წელს არსებული გამოცდილების გამოყენებით კათედრა კიდევ უფრო დახვეწილს, გამჭვირვალეს და სანდოს გახდის მათ მიერ შემუშავებულ რუბრიკებს და განიხილავს კათედრის სხდომებზე. სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

სკოლას მიეცა რჩევები: მნიშვნელოვანია, რომ შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) მომზადდეს მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს კომპლექსური დავალებებისთვის, რომელთა განხორციელებაც იგეგმება კურიკულუმით. რადგან სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. წარმოდგენილი წესის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია განხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება. ისინი ითვალისწინებენ დავალებების, შემაჯამებელი წერების შეფასების რუბრიკების შესაბამისობას დავალების მიზნებსა და შინაარსთან. ასევე მის სანდოობასა და გამჭვირვალობას, რაც სკოლას მტკიცებულებად უდევს საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, კათედრის ოქმებსა და შეფასების რუბრიკებში. მასწავლებლებთან გასაუბრებისა და ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასების ვერიფიკაციის მიზნით მასწავლებელი ორივე სემესტრის და წლის ბოლოს წერს განმავითარებელ კომენტარს ელექტრონულ ჟურნალში და შემდეგ მოსწავლის პირად საქმეში. პედაგოგი მე-5 კლასში მეორე სემესტრისა და მე-6 კლასში ორივე სემესტრის ბოლოს ატარებს შემაჯამებელ სამუშაოებს, რომლის შედეგებსაც აანალიზებს ჯერ თავად, შემდეგ კი კათედრის წევრებთან ერთად, ასევე აანალიზებს მოსწავლეებთან ერთად, იმის დასადგენად, თუ რა უნდა გააკეთოს სამომავლოდ, რათა უკეთესობისაკენ შეცვალოს სტატისტიკა. ამ აქტივობისას ხდება თითოეული კლასის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, ერთგვარი დიაგნოსტიკა, შემდეგ კი გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, შედეგების გაუმჯობესების მიზნით დაიგეგმება მომდევნო გაკვეთილები.

ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი და სკოლის არსებული პრაქტიკა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას.

სკოლას მიეცა რჩევები: სასურველია საზოგადოებრივი კათედრის შეხვედრებზე განიხილებოდეს მოსწავლეების მიღწევები და ხდებოდეს გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, ამიტომ, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელებსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუქციურ-კომპონენტური უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. სკოლაში წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
3. ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინება. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს. კათედრის წევრებს ხშირად აქვთ შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. დადებითად ფასდება პედაგოგთა და მშობელთა თანამშრომლობა. სისტემატურად მუშაობენ კათედრებთან ლიდერი მასწავლებლებიც, რომლებიც კოლეგებთან მუდმივად ატარებენ შეხვედრებს და უზიარებენ სასარგებლო გამოცდილებებს. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული სპეც. პედაგოგიც, მას აქვს მუდმივი კომუნიკაცია კოლეგებთან, მშობლებთან. რეგულარულად იმართება მშობელთა კრებები. აღსანიშნავია რომ მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრებების და კურიკულუმებზე ერთობლივად მუშაობის საფუძველზე ხორციელდება წარმატებული გამოცდილების გაზიარება და განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების გაცემა. მოსწავლეთა და მშობელთა აქტიური ჩართულობით წყდება სასკოლო პროექტებთან, ექსკურსიებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, კომპლექსური დავალებები, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; წახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება, თანამშრომლორ, გუნდურ და კეთილგანწყობილ გარემოში. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში, სკოლის მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს, ვებინარებს, სემინარებს, კონფერენციებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის განვითარებისათვის. დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში მასწავლებლები, კათედრების მუშაობის ფარგლებში ერთობლივად შეიმუშავენ საგნობრივ კურიკულუმებს. თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ემსახურება სკოლაში ახალი წევრის ინტეგრაცია. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მათი მუშაობის პრინციპები აგებულია თანამშრომლობასა და გუნდურობაზე, რასაც ადასტურებს ერთობლივად შემუშავებული კურიკულუმები. აქვთ მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ხაზი უსვამდნენ სკოლაში არსებულ კათედრათაშორის თანამშრომლობის კულტურას, რაზეც მეტყველებს ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები. რაც შეეხება კომუნიკაციას მშობლებთან, ამისათვის შუამავალ რგოლს წარმოადგენს კლასის ხელმძღვანელი, რომელიც მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელში შექმნილი კლასის ჯგუფებში, ასევე ელ. ჟურნალის გამოყენებით ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან. ხოლო სხვა დაინტერესებული პირების შემთხვევაში ინფორმირება ძირითადად ხდება ოფიციალურად, წერილობითი ფორმით.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა და ა.შ. სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობა და პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. მოსწავლეებს მათი უნარისა და

შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები
2. კომპლექსური დავალებები
3. შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ სადაც არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია. სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია. დირექტორი ხარისხის განვითარების ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის განმავლობაში დაესწრება მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) გაკვეთილებზე დაკვირვების სქემის მიხედვით სათანადო კრიტერიუმებისა და მახასიათებლების მიხედვით მოხდება გაკვეთილების შეფასება. ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრები დააკვირდებიან მასწავლებლების სტატუსის შესაბამისი რაოდენობით ჩატარებულ გაკვეთილებს. თითოეული გაკვეთილის დასრულების შემდეგ პედაგოგები ჯგუფის წევრებისაგან მიიღებენ უკუკავშირს. სკოლას დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცესი დეტალურად და უზრუნველყოფს მონიტორინგს და შეფასებას განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგია და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი-იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭირო პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლს სკოლაში. მათი ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების შემოწმებაზე, როგორც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით, ასევე მათი მხრიდან კანონმდებლობით ნაკისრი მოვალეობების შესრულებაზე. აღნიშნული ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, სადაც ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავენ ახალ გეგმას და ადგენენ შესაბამის ოქმს. კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავს უზრუნველყოფის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას;

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?.

კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) .

სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ სასურველია გაითვალისწინოს სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები.
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
3. ვერიფიკაციის მექანიზმი.
4. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტიური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტიკას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას კათედრა ეყრდნობა ისეთ წყაროებს, როგორიცაა: კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე, მასწავლებელთა, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებების და ურთიერთშეფასებების სქემებს. სამომავლოდ დაგეგმილი რეგულაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესობამ. მიმდინარე სასწავლო წლიდან, მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკის საფუძველზე, სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასების მიზნით შერჩეულია დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი. სასწავლო პროცესის შეფასება-შეჯამება ასახულია დირექტორის ანგარიშში, რომელიც წარედგინება სკოლის პედაგოგიური საბჭოს. სასწავლო წლის შეჯამება და მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვა ხდება ასევე კათედრის სხდომებზე.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. მოსწავლის მიღწევების შეფასება ხდება, მაგალითად, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები, არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შეფასება, სსსმ მოსწავლეთა ისგ-ს მიხედვით შეფასება.

კურიკულუმში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც სისტემატურად იღებენ ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლებისგან. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა, რომ შეფასება განახორციელონ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, მაგ. პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია პედაგოგის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მომავალი სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესის შეფასება მოხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ეს იქნება გამოკითხვები, სადიაგნოსტიკო წერები, აკადემიური მოსწრების ანალიზი

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები, კერძოდ რა ინსტრუმენტები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, დანერგვის პროცესთან დაკავშირებით მონაცემების შესაგროვებლად, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის; მონაცემთა შესაგროვებლად გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა შეფასების შედეგების ანალიზი, მაგალითად, დაკვირვება და ჩანაწერების წარმოება, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვითშეფასება. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება როგორც მასწავლებლების, ასევე ხარისხის ჯგუფის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებული იქნება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, როგორიცაა ჩაღრმავებული ინტერვიუ, ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუს ჯგუფების კვლევა და ა.შ) შედეგების გათვალისწინებით წარმართება შემდომი სასწავლო პროცესის.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია. მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული ხედვა და მზაობა, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ და რა საშუალებით გამოავლინონ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება

და დამუშავება, მიღებული შედეგების გათვალისწინება. სამომავლოდ პედაგოგები გეგმავენ კომპეტენციის ამაღლებას მულტიფაქტორული მიდგომების შესახებ, სასწავლო პროცესის შეფასების გაუმჯობესების მიზნით. მოიძიებენ და დაამუშავებენ ლიტერატურას, გაიზიარებენ სხვა პედაგოგების გამოცდილებას.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები
3. ვერიფიკაციის მექანიზმი
4. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

- კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - “კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია”. მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში მოცემულ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. მიმდინარე ს/წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს.

სკოლას მიეცა რჩევა: კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, უნდა გულისხმობდეს მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლას აქვს წარმოდგენილი უნდა ასახავდეს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში “სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია”. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები;
3. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

5. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
6. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
7. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
8. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის აგების, დანერგვის და განვითარების პრინციპები, გამოკვეთილია მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, დირექციის როლი, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში, რაც იძლევა სასკოლო საზოგადოების შეხედულებების, ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარება. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია-მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. დოკუმენტში აღწერილია ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე რა ეტაპები მიმდინარეობს კერძოდ ხდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სადაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების დადგენა და მისი გათვალისწინება კურიკულუმების შედგენის დროს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც აღწერილია, როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო გეგმის შედგენამდე მიმდინარეობს ინტენსიური შეხვედრები მშობლებთან. სკოლაში დანერგილია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესების დადგენა, რაც აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასწავლო პროექტები და მშობელთა ჩართულობა შესაძლებლობას

იმევე, რომ კურიკულუმის შედგენისას დაიგეგმოს და სწავლების ნაწილად იქცეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებიც. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი ჩამოყალიბებულია დოკუმენტში - „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. მასში აღწერილია, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. გამოკვეთილია რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმომადგენლებს. მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომლებიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ ჯგუფის მიერ. კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან ორიენტირი გაკეთებულია საბოლოო შედეგებზე, რომლებიც მიიღწევა საფეხურის ბოლოს, მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს მიმდინარე წელს არსებული ხარვეზები ან/და გამოწვევები აღმოფხვრას შემდეგ სასწავლო წელს. კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. შესრულებული კომპლექსური დავალებების შედეგად გამოკვეთილი ინტერესები, საჭიროებები და მიღებული ცოდნა კი გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ კურიკულუმის საბოლოო ვერსიების შესადგენად.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტის - „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ და სკოლის წარმომადგენლებთან პირადი გასაუბრების საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. შესაბამისად, დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმომადგენელს. სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა გამოიყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს, სკოლის ვებგვერდს, Teams-ის პლატფორმას. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გაააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას: შემუშავებას და მათ გაზიარებას საკლასო კრებებზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობით ჯგუფში, რასაც ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ვინაიდან, კურიკულუმების სისტემა ახალია და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და გააზრების

პროცესს, სწორი მიდგომების განსაზღვრას დრო სჭირდება, კათედრა გეგმავს, რომ ტრენინგებზე დასწრებითა და კონსულტაციების გავლის შედეგად მაქსიმალურად უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის გამართულობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
2. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
3. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

6. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
7. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
8. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
9. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;
10. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას
შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მოცემული კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი მეტწილად ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ

კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. დაგეგმვას. მაგ. მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმში პრეისტორია/ქვის ხანის თემაში სამიზნე ცნებების (ისტორიული მოვლენა/პროცესი, საზოგადოება, სივრცე) დამუშავებისთვის პედაგოგს შერჩეული აქვს კომპლექსური დავალება - კომიქსის შექმნა ადამიანის ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის შესახებ და ამუშავებს საკითხს „ნეოლითური რევოლუცია“. ასევე, მოქალაქეობისა და გეოგრაფიის საგნების კურიკულუმებშიც სამიზნე ცნებებისა და კონკრეტული საკითხების დამუშავებისთვის შერჩეულია კომპლექსური დავალებები. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სრულყოფილად არის გაწერილი, აღწერილია სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებებისა და ქვესაკითხების მითითებით, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც. კერძოდ, ინგლისური ენისა და რუსული ენის კურიკულუმებში, სასწავლო თემების შესაბამისად განსაზღვრულ კომპლექსური დავალებების ფარგლებში ზოგ შემთხვევაში არ არის ასახული ყველა სამიზნე ცნება, კერძოდ: კულტურათა დიალოგი. რუსული ენის VII კლასის კურიკულუმში, ზოგიერთი სასწავლო თემის შესაბამისად განსაზღვრულ კომპლექსური დავალებების ფარგლებში სამიზნე ცნებების დასახელება არ შეესაბამება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

სკოლას მიეცა რჩევა - სახელმწიფო ენის კათედრაზე დაიხვეწოს კურიკულუმის ჩარჩოები, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე, ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე ხდება, შესაბამისად, პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა შემდგომ ეტაპზე დაამატონ უფრო მრავალფეროვანი დავალებები. სკოლაში ამჟამად არ არის საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტი, თუმცა არის სივრცე, სადაც განთავსებულია მცირე რაოდენობის, არასაკმარისი ხელსაწყოები, მატერიალური რესურსები, თვალსაჩინოებები. სასურველია, სკოლაში არსებობდეს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომლის გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რჩევა: ა) სახელმწიფო ენის კათედრამ განხორციელოს და წარმოაჩინოს არაფორმალური კუთხით განხორციელებული აქტივობები და პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, გულისხმობს ზოგჯერ საგანთაშორის ინტეგრირებასა და მოსწავლეთა შორის შემოქმედებითი, კრიტიკული, სოციალური თუ ა.შ. უნარების ბ) სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმში ასახულ თემა „ოლიმპიზმში“, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, მასწავლებლებმა ცვალონ ქვეცნებები და საკითხები მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. აგრეთვე კურიკულუმში გაწერილ ყველა თემაში ასახონ დაგეგმილი კომპლექსური დავალების იდეა.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კუნსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლას აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული/ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ინგლისურ ენაში, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები). ასევე, წარმოდგენილი საგნების (ინგლისური ენა, რუსული ენა) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია სხვადასხვა სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. ამ მსჯელობას ამყარებს ის ფაქტი, რომ პედაგოგებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას, ამ მიმართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდოლოგიური ორიენტირები. გაწერილია მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის სხვადასხვა მეთოდებს (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ თამაშებს, სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი

დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში სათანადო სტატუსის მქონე მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს

სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შემუშავებული რუბრიკების მოდელი. საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება მიმდინარე სასწავლო პროცესში, ძირითადად ამ ეტაპზე იყენებენ განმავითარებელ ზეპირ სიტყვიერ კომენტარს, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს. შეფასების ინსტრუმენტები იქმნება ისე, რომ გაზომოს საგნის სწავლების გრძელვადიანი მიზნები. გასაუბრებიდან დგინდება, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასების სქემებს, მეთოდებსა და აქტივობებს (რუბრიკები, მაორგანიზებელი ცხრილები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, შუქნიშანი, 3-2-1, დიახ-არა ბარათები, ღიმილაკები, ...) კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებს თითოეული მოსწავლის მიღწევას, გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვას და ქცევას. მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ამზადებს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და აწვდის მშობელს, ინახავს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ გამოიყენოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ახალი სტრატეგიები და ფორმები: კერძოდ, დიაგნოსტიკური შეფასების კითხვარი, პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიის ინსტრუმენტი. სკოლისა და მასწავლებლებისთვის გამოწვევად რჩება შეფასების მეთოდის სიღრმისეულად გაგება, რისთვისაც სკოლა მაქსიმალურად ჩაერთვება შესაბამის ტრენინგ-სემინარებში, რათა მოხდეს გააზრება და დახვეწა.

სკოლას მიეცა რჩევა: საბაზო საფეხურის სპორტის კურიკულუმებში გაწერილ თემებთან (რომლებშიც სასურველია შეიტანონ განსხვავებული შინაარსის თემები, რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება.) დაგეგმილ კომპლექსურ დავალებას დაერთოს შესაბამისი და არა მხოლოდ საერთო ხასიათის შეფასების რუბრიკები.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია, კათედრის სხდომის იქმნები) და აგრეთვე დირექციასთან, საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ყურდნობიან მოსწავლეთა საჭიროებებს. სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებლეთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების

გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. სკოლას მწირი გამოცდილება აქვს სასწავლო პროცესი წარმართოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და გრძელვადიანი მიზნების დასამუშავებლად განახორციელოს შუალედური მიზნები/კომპლექსური დავალებები. თუმცა გასაუბრების დროს პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, კურიკულუმების დაგეგმვისას ყურადღება მიექცეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, გამოწვევებს და შეფასება მოხდეს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

7. სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
8. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო .
9. სასკოლო სასწავლო გეგმა
10. კათედრის სხდომის ოქმები.
11. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
12. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

შეფასება:

- ვთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

6. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
7. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
8. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
9. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
10. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გამოკვეთილია საკვანძო სტრუქტურული ერთეულები: თემა, საკითხი, ცნება, რესურსი. სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წელს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას, ცოდნა შეიძინოს ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასწავლო პროცესში დიდი როლი ენიჭება მოსწავლის მოტივაციისა და თანამშრომლობითი კულტურის ამაღლებას: გუნდური, ჯგუფური, წყვილებში მუშაობით. მასწავლებელი გეგმავს მრავალფეროვან, სახალისო და საინტერესო აქტივობებს, რომელიც მოსწავლეში აღვივებს შემოქმედებითობისა და ჩართულობის უნარს. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი უნარების გამომუშავებას. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა არ ყოფილა ჩართული „ახალი სკოლის მოდელში“ და მათთვის სიახლეს წარმოადგენს სამუშაო პროცესის განხორციელება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. მათ კარგად ესმით, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსწავლის მოტივაციის, ჩართულობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით უცხოური ენის კათედრას დაგეგმილი აქვს შესაბამისი

კომპლექსური დავალებების დამუშავება (მაგ: რუსული ენა VII კლასი - პრეზენტაცია თემაზე „ექსკურსია ქალაქში“; ინგლისური ენა VIII კლასში - ბლოგი თემაზე „საყვარელი გმირის ინტერესები და მიღწევები“...). ამასთან, საგნების კურიკულუმებში სასკოლო სახლმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის გარდა, წარმოდგენილი დამხმარე რესურსების უმეტესობა და „მაგალითები შედარებისთვის“ შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. მაგ., რუსული ენის IX კლასში ერთ-ერთი კომპლექსური დავალების ძირითადი საკითხია- ტურისტული სააგენტოსათვის საკუთარი ქალაქის ტურისტული ბუკლეტის მომზადება, სადაც მასწავლებელს შეთავაზებული აქვს როგორც „მაგალითი შედარებისთვის“ ტურისტული ბუკლეტის მახასიათებლები და შესაბამისი ნიმუში. ამასთან, საგნების კურიკულუმებში სასკოლო სახლმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის გარდა, წარმოდგენილი დამხმარე რესურსების უმეტესობა და „მაგალითები შედარებისთვის“ შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში.

ყურადსაღებია, რომ ენისლის საჯარო სკოლის სოფ. შაქრიანის ტერიტორიაზე არსებული შენობის (აქ განთავსებულია დაწყებითი და საბაზო საფეხური) გარე და შიდა სივრცე არ იძლევა საშუალებას, სრულყოფილად განახორციელოს ე.ს.გ-ით გათვალისწინებული ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში გაწერილი თემები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარებაზე და სადაც მუშავდება სამივე სამიზნე ცნება, სოფ. შაქრიანის ბაზაზე არსებული სკოლის პირობებში, სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ვერ ხორციელდება სპორტის კურიკულუმებში გაწერილ ფიზიკურ აქტივობებზე გათვლილი თემები, 7-9 კლასებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები (მოდრავი თამაშები), სადაც აუცილებელია უკლებლივ ყველა მოსწავლის ჩართვა, მათი ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სათანადოდ იქნეს განხორციელებული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში.

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე სოფ. ენისელსა და შაქრიანში- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს საბაზო საფეხურის კურიკულუმში ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოწავლისთვის ნაცნობ კონტექსტსა და შედარების მაგალითებს, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. მასწავლებელი კურიკულუმს გეგმავს ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი ჯგუფი, ცოდნის უნარი და საჭიროებები. ახალი მასალის მიწოდებამდე, ეტაპობრივად, კონსტრუქტივისტული პრინციპების გამოყენებით ხდება მოსწავლეთა ცოდნის ჩამოყალიბება, წინარე ცოდნა-გამოცდილებებზე დაყრდნობით მოსწავლე შეიმეცნებს ახალს.

კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, არსებული ცოდნისა და გმოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. ამასთან, გასაუბრებიდან გამომდინარე, მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების გაცნობით, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან.

სოფ. შაქრიანის ბაზაზე არსებული სკოლის პირობებში, სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ვერ ხორციელდება სპორტის კურიკულუმებში გაწერილ ფიზიკურ აქტივობებზე გათვლილი თემები.

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე სოფ. ენისელსა და შაქრიანში- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, რეფლექსია და სხვა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცესში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში გრძელდება და მნიშვნელოვანია, რომ შექმნილი პროდუქტი ყველა მოსწავლემ წარმოადგინოს პრეზენტაციის სახით. ეს მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ყურადღება მიაქციოს არა მხოლოდ იმას, რას სწავლობს თითოეული მოსწავლე, არამედ იმასაც, თუ რა ხერხებსა და სტრატეგიებს იყენებს სწავლის პროცესში. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა მაქსიმალურად წახალისონ მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში.

ყურადსაღებია, სოფ. შაქრიანის ბაზაზე არსებული სკოლის პირობებში, სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ვერ ხორციელდება სპორტის კურიკულუმებში გაწერილ ფიზიკურ აქტივობებზე გათვლილი თემები.

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე სოფ. ენისელსა და შაქრიანში - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) თანახმად, საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას, რაზეც მეტყველებს წარმოდგენილი კურიკულუმები. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში არ შემოიფარგლებიან მოსწავლეებისათვის მხოლოდ დეკლარაციული ცოდნის მიწოდებით, ისინი მოსწავლეებს რჩევებით, უკუკავშირით, გამოყენებული სტრატეგიებით ეხმარებიან ამ ცოდნის პროცედურულ ცოდნად გარდაქმნაში, ხოლო მოსწავლეებში პირობისეულ ცოდნად ჩამოყალიბებას მასწავლებლები სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებითა და განმავითარებელი კომენტარებით ახორციელებენ. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ასეთებია მაგალითად, ინგლისური ენის IX კლასის დავალება „წარმოიდგინე და შექმენი სასტუმროს მომსახურე რობოტის დიზაინის ამსახველი პოსტერი“ და რუსული ენის VIII კლასის დავალება “მისწერე წერილი უცხოელ თანატოლს შენს და მის ქვეყანაში არსებული დღესასწაულების შესახებ. ისუბრე 2 ქვეყნის დღესასწაულებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე.“ გარდა ამისა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზეც მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

ყურადსაღებია, სოფ. შაქრიანის ბაზაზე არსებული სკოლის პირობებში, სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ვერ ხორციელდება სპორტის კურიკულუმებში გაწერილ ფიზიკურ აქტივობებზე გათვლილი თემები. სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რჩევა: სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმა უფრო მეტად წარმოაჩინონ, როგორ ახერხებენ ცოდნის სამივე კატეგორიის შესაბამისი აქტივობების განხორციელებას და მეტი კომპლექსური ბუნების დავალებები ასახონ საგნობრივ კურიკულუმში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე სოფ. ენისელსა და შაქრიანში - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები (ზოგჯერ იდეის დონეზე), როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვამძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ასახულია კურიკულუმში, ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომლებიც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. კურიკულუმის ჩარჩოში ასახული კომპლექსური დავალებები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. პედაგოგების გამოცდილების გათვალისწინებით დაიგეგმა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის შედგენილ კურიკულუმში შემავალ კომპლექსურ დავალებებში შეიტანონ საუკეთესო პრაქტიკის შემცველი დავალებები.

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო აღნიშნული პროცესი ვერ ხორციელდება სოფ. შაქრიანის შენობაში განთავსებულ სკოლაში. სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე სოფ. ენისელსა და შაქრიანში - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები

2. კომპლექსური დავალებები
3. სასწავლო პროექტები
4. ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

7. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
8. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
9. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტიური განვითარების მხარდაჭერაზე;
10. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
11. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
12. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა და (რესურსებს, მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ კონსტრუქციული, სიღრმისეული სწავლის მიდგომების განსახორციელებლად აუცილებელია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის, ამას კი უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და სრულყოფილად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები თავისი რეფლექსიითა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზით.

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო აღნიშნული პროცესი ვერ ხორციელდება სოფ. შაქრიანის შენობაში განთავსებულ სკოლაში. სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე სოფ. ენისელსა და შაქრიანში - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომლის საფუძველზე შედგენილია ა) სადამრიგებლო პროგრამა, ბ) სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის პროგრამა. პროგრამები არის სახელმძღვანელო, სარეკომენდაციო ყველა კლასისთვის, მათში დაგეგმილია ე.ს.გ გათვალისწინებული მოთხოვნების განხორციელების გზები და საშუალებები. განხორციელებული სასკოლო პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების და ურთიერთობის უნარების განვითარებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში.

სკოლას მიეცა რჩევა: საზოგადოებრივი კათედრის მასწავლებლებმა სასწავლო პროცესში ისე დაგეგმონ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა ჰქონდეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, გამოკვეთოს ძლიერი და სუსტი მხარეები; მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი და გაიაზროს პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვა ვერ ხორციელდება სოფ. შაქრიანის შენობაში განთავსებულ სკოლაში. სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე სოფ. ენისელსა და შაქრიანში - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი

შეფასების არსი სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით ქმნის შეფასების რუბრიკებს მოსწავლეების აკადემიური უნარების შესაფასებლად. სკოლის მიერ წამოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს და ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტიკა განვითარების ყველა მიმართულების (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით. მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც.

ყურადსაღებია, რომ შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვა ვერ ხორციელდება სოფ. შაქრიანის შენობაში განთავსებულ სკოლაში. სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რჩევა, სახელმწიფო ენის კათედრაზე დამატებით შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სოფ. შაქრიანში შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 27 სექტემბრამდე, სპორტული დარბაზის ფუნქციონირება; 2024 წლის 15 სექტემბრამდე სოფ. ენისელსა და შაქრიანში - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომელთა ანალიზიც იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შემუშავებულია შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები. ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან კონკრეტულ სიტუაციაში. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე, მას გააზრებული აქვს დადებითად რომ შეფასდეს, რა და როგორ უნდა გააკეთოს. კომპლექსური დავალებების შემაჯამებელ დავალებად წარდგენის პროცესში იმავე მითითება-კრიტერიუმების გადაყვანა ხდება განმსაზღვრელ შეფასებად. რადგან სასკოლო შეფასება მუდმივად ვითარდება, მომავალ სასწავლო წელს არსებული გამოცდილების გამოყენებით კათედრა კიდევ უფრო დახვეწილს, გამჭვირვალეს და სანდოს გახდის მათ მიერ შემუშავებულ რუბრიკებს და განიხილავს კათედრის სხდომებზე. სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

სკოლას მიეცა რჩევები: მნიშვნელოვანია, რომ შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) მომზადდეს ისტორიისა და მოქალაქეობის საგნებისთვისაც. რათა სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში, მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. წარმოდგენილი წესის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია განხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება. ისინი ითვალისწინებენ დავალებების, შემაჯამებელი წერების შეფასების რუბრიკების შესაბამისობას დავალების მიზნებსა და შინაარსთან. ასევე მის სანდოობასა და გამჭვირვალობას, რაც სკოლას მტკიცებულებად უდევს საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, კათედრის ოქმებსა და შეფასების რუბრიკებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი და სკოლის არსებული პრაქტიკა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას.

სკოლას მიეცა რჩევები: სასურველია საზოგადოებრივი კათედრის შეხვედრებზე განიხილებოდეს მოსწავლეების მიღწევები და ხდებოდეს გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, ამიტომ, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელებსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუნქციურ-კომპონენტური უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. სკოლაში წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4. საგნობრივი კურიკულუმები
5. განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
6. ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინება. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს. კათედრის წევრებს ხშირად აქვთ შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამართო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. დადებითად ფასდება პედაგოგთა და მშობელთა თანამშრომლობა. სისტემატურად მუშაობენ კათედრებთან ლიდერი მასწავლებლებიც, რომლებიც კოლეგებთან მუდმივად ატარებენ შეხვედრებს და უზიარებენ სასარგებლო გამოცდილებებს. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული სპეც. პედაგოგიც, მას აქვს მუდმივი კომუნიკაცია კოლეგებთან, მშობლებთან. რეგულარულად იმართება მშობელთა კრებები. აღსანიშნავია რომ მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრებების და კურიკულუმებზე ერთობლივად მუშაობის საფუძველზე ხორციელდება წარმატებული გამოცდილების გაზიარება და განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების გაცემა. მოსწავლეთა და მშობელთა აქტიური ჩართულობით წყდება სასკოლო პროექტებთან, ექსკურსიებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, კომპლექსური დავალებები, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; წახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება, თანამშრომლორ, გუნდურ და კეთილგანწყობილ გარემოში. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში, სკოლის მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს, ვებინარებს, სემინარებს, კონფერენციებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის განვითარებისათვის. დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში მასწავლებლები, კათედრების მუშაობის ფარგლებში ერთობლივად შეიმუშავენ საგნობრივ კურიკულუმებს. თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ემსახურება სკოლაში ახალი წევრის ინტეგრაცია. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მათი მუშაობის პრინციპები აგებულია თანამშრომლობასა და გუნდურობაზე, რასაც ადასტურებს ერთობლივად შეიმუშავებული კურიკულუმები. აქვთ მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ხაზი უსვამდნენ სკოლაში არსებულ კათედრათაშორის თანამშრომლობის კულტურას, რაზეც მეტყველებს ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები. რაც შეეხება კომუნიკაციას მშობლებთან, ამისათვის შუამავალ რგოლს წარმოადგენს კლასის ხელმძღვანელი, რომელიც მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელში შექმნილი კლასის ჯგუფებში, ასევე ელ. ჟურნალის გამოყენებით ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან. ხოლო სხვა დაინტერესებული პირების შემთხვევაში ინფორმირება ძირითადად ხდება ოფიციალურად, წერილობითი ფორმით.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა და ა.შ. სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობა და პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი,

რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები
2. კომპლექსური დავალებები
3. შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმში შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია. სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია. დირექტორი ხარისხის განვითარების ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის განმავლობაში დაესწრება მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) გაკვეთილებზე დაკვირვების სქემის მიხედვით სათანადო კრიტერიუმებისა და მახასიათებლების მიხედვით მოხდება გაკვეთილების შეფასება. ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრები დააკვირდებიან მასწავლებლების სტატუსის შესაბამისი რაოდენობით ჩატარებულ გაკვეთილებს. თითოეული გაკვეთილის დასრულების შემდეგ პედაგოგები ჯგუფის წევრებისაგან მიიღებენ უკუკავშირს. სკოლას დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცესი დეტალურად და უზრუნველყოფს მონიტორინგს და შეფასებას განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგია და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი-იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭირო პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლს სკოლაში. მათი ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების შემოწმებაზე, როგორც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით, ასევე მათი მხრიდან კანონმდებლობით ნაკისრი მოვალეობების შესრულებაზე. აღნიშნული ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, სადაც ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავენ ახალ გეგმას და ადგენენ შესაბამის ოქმს. კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავს უზრუნველყოფის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას;



3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?.

კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ სასურველია გაითვალისწინოს სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

5. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები.
6. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
7. ვერიფიკაციის მექანიზმი.
8. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტიური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტიკას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას კათედრა ეყრდნობა ისეთ წყაროებს, როგორიცაა: კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე, მასწავლებელთა, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებების და ურთიერთშეფასებების სქემებს. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესობამ. მიმდინარე სასწავლო წლიდან, მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკის საფუძველზე, სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასების მიზნით შერჩეულია დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი. სასწავლო პროცესის შეფასება-შეჯამება ასახულია დირექტორის ანგარიშში, რომელიც წარედგინება სკოლის პედაგოგიური საბჭოს. სასწავლო წლის შეჯამება და მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვა ხდება ასევე კათედრის სხდომებზე.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. მოსწავლის მიღწევების შეფასება ხდება, მაგალითად, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები, არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შეფასება, სსსმ მოსწავლეთა ისგ-ს მიხედვით შეფასება. კურიკულუმში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ

მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც სისტემატურად იღებენ ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლებისგან. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა, რომ შეფასება განახორციელონ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, მაგ. პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია პედაგოგის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მომავალი სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესის შეფასება მოხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ეს იქნება გამოკითხვები, სადიაგნოსტიკო წერები, აკადემიური მოსწრების ანალიზი

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები, კერძოდ რა ინსტრუმენტები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, დანერგვის პროცესთანდაკავშირებით მონაცემების შესაგროვებლად, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის; მონაცემთა შესაგროვებლად გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა შეფასების შედეგების ანალიზი, მაგალითად, დაკვირვება და ჩანაწერების წარმოება, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვითშეფასება. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება როგორც მასწავლებლების, ასევე ხარისხის ჯგუფის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებული იქნება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, როგორიცაა ჩაღრმავებული ინტერვიუ, ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუს ჯგუფების კვლევა და ა.შ) შედეგების გათვალისწინებით წარმართება შემდგომი სასწავლო პროცესის.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებლეთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია. მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული ხედვა და მზაობა, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ და რა საშუალებით გამოავლინონ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და დამუშავება, მიღებული შედეგების გათვალისწინება. სამომავლოდ პედაგოგები გეგმავენ კომპეტენციის ამალგებას მულტიფაქტორული მიდგომების შესახებ,

სასწავლო პროცესის შეფასების გაუმჯობესების მიზნით. მოიძიებენ და დაამუშავენ ლიტერატურას, გაიზიარებენ სხვა პედაგოგების გამოცდილებას.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

5. კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია
6. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები
7. ვერიფიკაციის მექანიზმი
8. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - “კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია”. მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში მოცემულ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. მიმდინარე ს/წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს.

სკოლას მიეცა რჩევა: კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, უნდა გულისხმობდეს მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლას აქვს წარმოდგენილი უნდა ასახავდეს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში “სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია”. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
5. საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები;
6. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

9. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
10. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
11. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
12. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის აგების, დანერგვის და განვითარების პრინციპები, გამოკვეთილია მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, დირექციის როლი, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში, რაც იძლევა სასკოლო საზოგადოების შეხედულებების, ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარება. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია-მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. დოკუმენტში აღწერილია ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე რა ეტაპები მიმდინარეობს კერძოდ ხდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სადაც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების დადგენა და მისი გათვალისწინება კურიკულუმების შედგენის დროს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც აღწერილია, როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. გასაუბრებაზე

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო გეგმის შედგენამდე მიმდინარეობს ინტენსიური შეხვედრები მშობლებთან. სკოლაში დანერგილია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესების დადგენა, რაც აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასწავლო პროექტები და მშობელთა ჩართულობა შესაძლებლობას იძლევა, რომ კურიკულუმის შედგენისას დაიგეგმოს და სწავლების ნაწილად იქცეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებიც. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი ჩამოყალიბებულია დოკუმენტში - „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. მასში აღწერილია, როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. გამოკვეთილია რა როლი და ფუნქცია აქვს მასწავლებელს, კათედრის ხელმძღვანელსა და დირექციის წარმომადგენლებს. მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომლებიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ ჯგუფის მიერ. კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან ორიენტირი გაკეთებულია საბოლოო შედეგებზე, რომლებიც მიიღწევა საფეხურის ბოლოს, მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს მიმდინარე წელს არსებული ხარვეზები ან/და გამოწვევები აღმოფხვრას შემდეგ სასწავლო წელს. კურიკულუმში, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. შესრულებული კომპლექსური დავალებების შედეგად გამოკვეთილი ინტერესები, საჭიროებები და მიღებული ცოდნა კი გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ კურიკულუმის საბოლოო ვერსიების შესადგენად.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტის - „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ და სკოლის წარმომადგენლებთან პირადი გასაუბრების საფუძველზე, იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი, როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები, აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და ფუნქციას. შესაბამისად, დოკუმენტი საჯაროა და მასზე თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმომადგენელს. სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა გამოიყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს, სკოლის ვებგვერდს, Teams-ის პლატფორმას. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გაააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი

ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას: შემუშავებას და მათ გაზიარებას საკლასო კრებებზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობით ჯგუფში, რასაც ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. ვინაიდან, კურიკულუმების სისტემა ახალია და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და გააზრების პროცესს, სწორი მიდგომების განსაზღვრას დრო სჭირდება, კათედრა გეგმავს, რომ ტრენინგებზე დასწრებითა და კონსულტაციების გავლის შედეგად მაქსიმალურად უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის გამართულობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
2. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
3. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

11. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
12. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
13. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
14. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;
15. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მოცემული კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი მეტწილად ორიენტირებულია გრძელვადიან

მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტის სახით. სკოლას 2023-2024 სასწავლო წელს პროექტის ჩარჩოები წარმოდგენილი აქვს როგორც ხელოვნებაში, ასევე მუსიკაში. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროექტის მიზანი და შინაარსი ორიენტირებულია მოსწავლის ცხოვრებისეულ კონტექტებსა და პირად გამოცდილებაზე, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა მე-10 კლასის ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმები. მოცემული კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი მეტწილად ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. მაგ. მე-10 კლასის მოქალაქეობის საგნის კურიკულუმში სამართლებრივი კულტურის თემაში სამიზნე ცნების (საზოგადოება) დამუშავებისთვის პედაგოგს შერჩეული აქვს კომპლექსური დავალება - კომიქსის შექმნა „ძალადობისგან თავისუფალი ოჯახი“ და ამუშავებს საკითხს - ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა. ასევე, მოქალაქეობისა და გეოგრაფიის საგნების კურიკულუმებშიც სამიზნე ცნებებისა და კონკრეტული საკითხების დამუშავებისთვის შერჩეულია კომპლექსური დავალებები. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სრულყოფილად არის გაწერილი, აღწერილია სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებებისა და ქვესაკითხების მითითებით, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც. კერძოდ, ინგლისური ენის X, ხოლო რუსული ენის X, XI კლასების კურიკულუმში, ზოგიერთი თემის შემთხვევაში სავალდებულო კომპონენტებს შორის ამ ეტაპზე არ არის ასახული კომპონენტი „მაგალითები შედარებისთვის“ და კონტექსტმაგალითი. ინგლისური ენისა და რუსული ენის კურიკულუმებში, სასწავლო თემების შესაბამისად განსაზღვრულ კომპლექსური დავალებების ფარგლებში ზოგ შემთხვევაში არ არის ასახული ყველა სამიზნე ცნება, კერძოდ: კულტურათა დიალოგი. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. კათედრას აქვს მზაობა, უფრო მრავალფეროვნად გახადოს დაწყებითი კლასების კომპლექსური დავალებები, წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მზაობის შესაბამისად.

სკოლას მიეცა რჩევა - სახელმწიფო ენის კათედრაზე მასწავლებლებმა ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე, ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე ხდება, შესაბამისად, პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად

საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია მიზნობრივი ორიენტირები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემების მიხედვით და განსაზღვრულია გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა კომპლექსური დავალებებით. მაგ. ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი სავალდებულო თემები, გამოკვეთილია ძირითადი შესასწავლი საკითხები და დაგეგმილია გარკვეული საკითხების სწავლება კომპლექსური დავალებებით, მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს საშუალებას მისცემს გაიაქტიუროს ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები, როგორიცაა: შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ა.შ. სკოლაში ამჟამად არ არის საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტი, თუმცა არის სივრცე, სადაც განთავსებულია მცირე რაოდენობის, არასაკმარისი ხელსაწყოები, მატერიალური რესურსები, თვალსაჩინოებები. სასურველია, სკოლაში არსებობდეს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომლის გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება. მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლებს აქვთ მზაობა შემდგომ ეტაპზე დაამატონ უფრო მრავალფეროვანი დავალებები.

სკოლას მიეცა რჩევა: სახელმწიფო ენის კათედრამ განახორციელოს და წარმოაჩინოს არაფორმალური კუთხით განხორციელებული აქტივობები და პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, გულისხმობს ზოგჯერ საგანთაშორის ინტეგრირებასა და მოსწავლეთა შორის შემოქმედებითი, კრიტიკული, სოციალური თუ ა.შ. უნარების

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კუნსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლას აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული/ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ინგლისურ ენაში, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები). ასევე, წარმოდგენილი საგნების (ინგლისური ენა, რუსული ენა) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია

სხვადასხვა სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. ამ მსჯელობას ამყარებს ის ფაქტი, რომ პედაგოგებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას, ამ მიმართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდოლოგიური ორიენტირები. გაწერილია მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის სხვადასხვა მეთოდებს (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ თამაშებს, სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში სათანადო სტატუსის მქონე მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს

სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შემუშავებული რუბრიკების მოდელი. საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება მიმდინარე სასწავლო პროცესში, ძირითადად ამ ეტაპზე იყენებენ განმავითარებელ ზეპირ სიტყვიერ კომენტარს, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს. შეფასების ინსტრუმენტები იქმნება ისე, რომ გაზომოს საგნის სწავლების გრძელვადიანი მიზნები. სკოლა გეგმავს, რომ გამოიყენოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ახალი სტრატეგიები და ფორმები: კერძოდ, დიაგნოსტიკური შეფასების კითხვარი, პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიის ინსტრუმენტი. სკოლისა და მასწავლებლებისთვის გამოწვევად რჩება შეფასების მეთოდის სიღრმისეულად გაგება, რისთვისაც სკოლა მაქსიმალურად ჩაერთვება შესაბამის ტრენინგ-სემინარებში, რათა მოხდეს გააზრება და დახვეწა.

სკოლას მიეცა რჩევა: საშუალო საფეხურის სპორტის კურიკულუმებში სასურველია, სასწავლო წლის განმავლობაში თითოეული თემის ფარგლებში დაგეგმილ კომპლექსურ დავალებას დაერთოს შესაბამისი და არა მხოლოდ საერთო ხასიათის შეფასების რუბრიკები.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია, კათედრის სხდომის იქმნები) და აგრეთვე დირექციასთან, საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ეყრდნობიან მოსწავლეთა საჭიროებებს. სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და

სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. სკოლას მწირი გამოცდილება აქვს სასწავლო პროცესი წარმართოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და გრძელვადიანი მიზნების დასამუშავებლად განახორციელოს შუალედური მიზნები/კომპლექსური დავალებები. თუმცა გასაუმჯობესებელი დროს პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, კურიკულუმების დაგეგმვისას ყურადღება მიექცეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, გამოწვევებს და შეფასება მოხდეს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

13. სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
14. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო .
15. სასკოლო სასწავლო გეგმა
16. კათედრის სხდომის ოქმები.
17. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
18. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

11. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
12. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
13. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
14. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
15. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გამოკვეთილია საკვანძო სტრუქტურული ერთეულები: თემა, საკითხი, ცნება, რესურსი. სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წელს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას, ცოდნა შეიძინოს ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასწავლო პროცესში დიდი როლი ენიჭება მოსწავლის მოტივაციისა და თანამშრომლობითი კულტურის ამაღლებას: გუნდური, ჯგუფური, წყვილებში მუშაობით. მასწავლებელი გეგმავს მრავალფეროვან, სახალისო და საინტერესო აქტივობებს, რომელიც მოსწავლეში აღვივებს შემოქმედებითობისა და ჩართულობის უნარს. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა არ ყოფილა ჩართული „ახალი სკოლის მოდელში“ და მათთვის სიახლეს წარმოადგენს სამუშაო პროცესის განხორციელება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. მათ კარგად ესმით, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსწავლის მოტივაციის, ჩართულობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით უცხოური ენის კათედრას დაგეგმილი აქვს შესაბამისი

კომპლექსური დავალებების (მაგ: რუსული ენა XII კლასი - გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია თემაზე „მასობრივი საინფორმაციო საშუალებების უარყოფითი მხარეები“; ინგლისური ენა XI კლასში - დებატები თემაზე „აიკრძალოს თუ არა რეალითი შოუ“). ამასთან, საგნების კურიკულუმებში სასკოლო სახლმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის გარდა, წარმოდგენილი დამხმარე რესურსების უმეტესობა და „მაგალითები შედარებისთვის“ შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. მაგ., მაგ., ინგლისური ენის X კლასში ერთ-ერთი კომპლექსური დავალების ძირითადი საკითხია- ესეს მომზადება თემაზე „homeschooling VS traditional school learning“, სადაც მასწავლებელს შეთავაზებული აქვს როგორც „მაგალითი შედარებისთვის“ ესეს მახასიათებლები და შესაბამისი ნიმუში. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული შუალედური სასწავლო მიზნების საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი მეტწილად მოგვცემს შესაძლებლობას მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესებში, მაგ. გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის საგნებში დაგეგმილია სხვადასხვა საკითხების შესწავლა კომპლექსური დავალებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ და შექმნან ისეთი შემოქმედებით პროდუქტები, როგორიცაა - ინფოგრაფიკა, მოხსენება, კომიქსი, სტატია... და ამ პროდუქტების დახმარებით დაადასტურონ თავისი ცოდნა შესასწავლი საკითხებისადმი. ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად სწორედ კომპლექსური ბუნების დავალებებს მიიჩნევს. ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შუქმდებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს საშუალო საფეხურის კურიკულუმში ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოწავლისთვის ნაცნობ კონტექსტსა და შედარების მაგალითებს, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. მასწავლებელი კურიკულუმს გეგმავს ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი ჯგუფი, ცოდნის უნარი და საჭიროებები. ახალი მასალის მიწოდებამდე, ეტაპობრივად, კონსტრუქტივისტული პრინციპების გამოყენებით ხდება მოსწავლეთა ცოდნის ჩამოყალიბება, წინარე ცოდნა-გამოცდილებებზე დაყრდნობით მოსწავლე შეიმეცნებს ახალს. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. ამასთან, გასაუბრებიდან გამომდინარე,

მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების გაცნობით, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან.

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, რეფლექსია და სხვა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცესში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში გრძელდება და მნიშვნელოვანია, რომ შექმნილი პროდუქტი ყველა მოსწავლემ წარმოადგინოს პრეზენტაციის სახით. ეს მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ყურადღება მიაქციოს არა მხოლოდ იმას, რას სწავლობს თითოეული მოსწავლე, არამედ იმასაც, თუ რა ხერხებსა და სტრატეგიებს იყენებს სწავლის პროცესში. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა მაქსიმალურად წახალისონ მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში.

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) თანახმად, საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას, რაზეც მეტყველებს წარმოდგენილი კურიკულუმები. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში არ შემოიფარგლებიან მოსწავლეებისათვის მხოლოდ დეკლარატიული ცოდნის მიწოდებით, ისინი მოსწავლეებს რჩევებით, უკუკავშირით, გამოყენებული სტრატეგიებით ეხმარებიან ამ ცოდნის პროცედურულ ცოდნად გარდაქმნაში, ხოლო მოსწავლეებში პირობისეულ ცოდნად ჩამოყალიბებას მასწავლებლები სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებითა და განმავითარებელი კომენტარებით ახორციელებენ. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ასეთებია მაგალითად, ინგლისური ენის XII კლასის დავალება „მომზადე პოსტერი ინდივიდუალური და გუნდური სპორტის სახეობების შესახებ. აღწერე თითოეული სახეობა და ისაუბრე რატომ მოგწონს“ და რუსული ენის XII კლასის დავალება “მომზადე სიუჟეტი ნარკოტიკის მავნებლობის შესახებ. მოიძიე ინფორმაცია ნარკოტიკების გავლენასა და დამოკიდებულების შესახებ, თუ რა ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას.“ გარდა ამისა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რჩევა: სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმა უფრო მეტად წარმოაჩინონ, როგორ ახერხებენ ცოდნის სამივე კატეგორიის შესაბამისი აქტივობების განხორციელებას და მეტი კომპლექსური ბუნების დავალებები ასახონ საგნობრივ კურიკულუმში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები (ზოგჯერ იდეის დონეზე), როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე შემოქმედებითი პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ასახულია კურიკულუმში, ისეა აგებული, რომ

მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომლებიც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. კურიკულუმის ჩარჩოში ასახული კომპლექსური დავალებები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე.

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები
2. კომპლექსური დავალებები
3. სასწავლო პროექტები
4. ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

13. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
14. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
15. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
16. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
17. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
18. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა და (რესურსებს, მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას.

სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ კონსტრუქციული, სიღრმისეული სწავლის მიდგომების განსახორციელებლად აუცილებელია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის, ამას კი უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და სრულყოფილად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები თავისი რეფლექსიითა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზით.

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომლის საფუძველზე შედგენილია ა) სადამრიგებლო პროგრამა, ბ) სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის პროგრამა. პროგრამები არის სახელმძღვანელო, სარეკომენდაციო ყველა კლასისთვის, მათში დაგეგმილია ე.ს.გ. გათვალისწინებული მოთხოვნების განხორციელების გზები და საშუალებები. განხორციელებული სასკოლო პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების და ურთიერთობის უნარების განვითარებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლას არ გააჩნია

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რჩევა: საზოგადოებრივი კათედრის მასწავლებლებმა სასწავლო პროცესში ისე დაგეგმონ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა ჰქონდეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, გამოკვეთოს ძლიერი და სუსტი მხარეები; მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი და გაიაზროს პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საშუალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით ქმნის შეფასების რუბრიკებს მოსწავლეების აკადემიური უნარების შესაფასებლად. სკოლის მიერ წამოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს და ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტიკა განვითარების ყველა მიმართულების (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით. მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც. სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ხელსაწყოებით, მატერიალური რესურსებით, თვალსაჩინოებებით, რომელთა გარეშეც რთულია/შეუძლებელია საბუნებისმეტყველო საგნების ხარისხიანად სწავლება.

სკოლას მიეცა რჩევა, სახელმწიფო ენის კათედრაზე დამატებით შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2024 წლის 15 სექტემბრამდე, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომელთა ანალიზიც იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შემუშავებულია შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები. ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან კონკრეტულ სიტუაციაში. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე, მას გააზრებული აქვს დადებითად რომ შეფასდეს, რა და როგორ უნდა გააკეთოს. კომპლექსური დავალებების შემაჯამებელ დავალებად წარდგენის პროცესში იმავე მითითება-კრიტერიუმების გადაყვანა ხდება განმსაზღვრელ შეფასებად. რადგან სასკოლო შეფასება მუდმივად ვითარდება, მომავალ სასწავლო წელს არსებული გამოცდილების გამოყენებით კათედრა კიდევ უფრო დახვეწილს, გამჭვირვალეს და სანდოს გახდის მათ მიერ შემუშავებულ რუბრიკებს და განიხილავს კათედრის სხდომებზე. სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

სკოლას მიეცა რჩევები: მნიშვნელოვანია, რომ შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) მომზადდეს ისტორიისა და მოქალაქეობის საგნებისთვისაც, რათა სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში, მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. წარმოდგენილი წესის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია განხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება. ისინი ითვალისწინებენ დავალებების, შემაჯამებელი წერების შეფასების რუბრიკების შესაბამისობას დავალების მიზნებსა და შინაარსთან. ასევე მის სანდოობასა და გამჭვირვალობას, რაც სკოლას მტკიცებულებად უდევს საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, კათედრის ოქმებსა და შეფასების რუბრიკებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი და სკოლის არსებული პრაქტიკა გვამლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას.

სკოლას მიეცა რჩევები: სასურველია საზოგადოებრივი კათედრის შეხვედრებზე განიხილებოდეს მოსწავლეების მიღწევები და ხდებოდეს გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, ამიტომ, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელებსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუნქციურ-კომპონენტური უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. სკოლაში წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

7. საგნობრივი კურიკულუმები
8. განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
9. ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინება. უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. ასევე სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, სასკოლო

საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. მასწავლებლები საუბრობენ პრობლემაზე ორიენტირებული კომუნიკაციის პრაქტიკასა და გაზიარებული პასუხისმგებლობებზე, რომ ნებისმიერ მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალი ფართით ან საერთო სარგებლობის სივრცეებით ნებისმიერ დროს. კათედრის წევრებს ხშირად აქვთ შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამართო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. დადებითად ფასდება პედაგოგთა და მშობელთა თანამშრომლობა. სისტემატურად მუშაობენ კათედრებთან ლიდერი მასწავლებლებიც, რომლებიც კოლეგებთან მუდმივად ატარებენ შეხვედრებს და უზიარებენ სასარგებლო გამოცდილებებს. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული სპეც. პედაგოგიც, მას აქვს მუდმივი კომუნიკაცია კოლეგებთან, მშობლებთან. რეგულარულად იმართება მშობელთა კრებები. აღსანიშნავია რომ მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრებების და კურიკულუმებზე ერთობლივად მუშაობის საფუძველზე ხორციელდება წარმატებული გამოცდილების გაზიარება და განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების გაცემა. მოსწავლეთა და მშობელთა აქტიური ჩართულობით წყდება სასკოლო პროექტებთან, ექსკურსიებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები, კომპლექსური დავალებები, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; წახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება, თანამშრომლორ, გუნდურ და კეთილგანწყობილ გარემოში. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში, სკოლის მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს, ვებინარებს, სემინარებს, კონფერენციებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის განვითარებისათვის. დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში მასწავლებლები, კათედრების მუშაობის ფარგლებში ერთობლივად შეიმუშავენ საგნობრივ კურიკულუმებს. თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ემსახურება სკოლაში ახალი წევრის ინტეგრაცია. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მათი მუშაობის პრინციპები აგებულია თანამშრომლობასა და გუნდურობაზე, რასაც ადასტურებს ერთობლივად შეიმუშავებული კურიკულუმები. აქვთ მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ხაზი უსვამდნენ სკოლაში არსებულ კათედრათაშორის თანამშრომლობის კულტურას, რაზეც მეტყველებს ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები. რაც შეეხება კომუნიკაციას მშობლებთან, ამისათვის შუამავალ რგოლს წარმოადგენს კლასის ხელმძღვანელი, რომელიც მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელში შექმნილი კლასის ჯგუფებში,

ასევე ელ. ჟურნალის გამოყენებით ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან. ხოლო სხვა დაინტერესებული პირების შემთხვევაში ინფორმირება ძირითადად ხდება ოფიციალურად, წერილობითი ფორმით.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა და ა.შ. სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობა და პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები
2. კომპლექსური დავალებები
3. შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

- 7. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
- 8. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
- 9. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც არსებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია. სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია. დირექტორი ხარისხის განვითარების ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის განმავლობაში დაესწრება მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) გაკვეთილებზე დაკვირვების სქემის მიხედვით სათანადო კრიტერიუმებისა და მახასიათებლების მიხედვით მოხდება გაკვეთილების შეფასება. ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრები დააკვირდებიან მასწავლებლების სტატუსის შესაბამისი რაოდენობით ჩატარებულ გაკვეთილებს. თითოეული გაკვეთილის დასრულების შემდეგ პედაგოგები ჯგუფის წევრებისაგან მიიღებენ უკუკავშირს. სკოლას დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცესი დეტალურად და უზრუნველყოფს მონიტორინგს და შეფასებას განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგია და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი-იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან,

განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლს სკოლაში. მათი ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების შემოწმებაზე, როგორც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით, ასევე მათი მხრიდან კანონმდებლობით ნაკისრი მოვალეობების შესრულებაზე. აღნიშნული ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, სადაც ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავენ ახალ გეგმას და ადგენენ შესაბამის ოქმს. კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავს უზრუნველყოს განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება;

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში გამოიკვეთება ზოგიერთი თანხვედრაშია სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობასთან, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით დაევალებათ. მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?.

კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ სასურველია გაითვალისწინოს სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

9. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები.
10. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
11. ვერიფიკაციის მექანიზმი.
12. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

9. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
10. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
11. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
12. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტიკას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას კათედრა ეყრდნობა ისეთ წყაროებს, როგორიცაა: კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე, მასწავლებელთა, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებების და ურთიერთშეფასებების სქემებს. სამომავლოდ დაგეგმილი რეგულაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესობამ. მიმდინარე სასწავლო წლიდან,

მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკების საფუძველზე, სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასების მიზნით შერჩეულია დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი. სასწავლო პროცესის შეფასება-შეჯამება ასახულია დირექტორის ანგარიშში, რომელიც წარედგინება სკოლის პედაგოგიური საბჭოს. სასწავლო წლის შეჯამება და მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვა ხდება ასევე კათედრის სხდომებზე

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. მოსწავლის მიღწევების შეფასება ხდება, მაგალითად, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები, არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შეფასება, სსმ მოსწავლეთა ისგ-ს მიხედვით შეფასება. კურიკულუმში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც სისტემატურად იღებენ ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლებისგან. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა, რომ შეფასება განახორციელონ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, მაგ. პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია პედაგოგის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მომავალი სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესის შეფასება მოხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ეს იქნება გამოკითხვები, სადიაგნოსტიკო წერები, აკადემიური მოსწრების ანალიზი

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია რომ შეფასების პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები, კერძოდ რა ინსტრუმენტები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, დანერგვის პროცესთანდაკავშირებით მონაცემების შესაგროვებლად, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის; მონაცემთა შესაგროვებლად გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა შეფასების შედეგების ანალიზი, მაგალითად, დაკვირვება და ჩანაწერების წარმოება, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვითშეფასება.

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება როგორც მასწავლებლების, ასევე ხარისხის ჯგუფის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებული იქნება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, როგორიცაა ჩაღრმავებული ინტერვიუ, ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუს ჯგუფების კვლევა და ა.შ.) შედეგების გათვალისწინებით წარმართება შემდგომი სასწავლო პროცესის.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსებს წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია. მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული ხედვა და მზაობა, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ და რა საშუალებით გამოავლინონ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და დამუშავება, მიღებული შედეგების გათვალისწინება. სამომავლოდ პედაგოგები გეგმავენ კომპეტენციის ამღებებს მულტიფაქტორული მიდგომების შესახებ, სასწავლო პროცესის შეფასების გაუმჯობესების მიზნით. მოიძიებენ და დაამუშავებენ ლიტერატურას, გაიზიარებენ სხვა პედაგოგების გამოცდილებას.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

9. კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია
10. საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები
11. ვერიფიკაციის მექანიზმი
12. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

5. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
6. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - “კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში მოცემულ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. მიმდინარე ს/წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს.

სკოლას მიეცა რჩევა: კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, უნდა გულისხმობდეს მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლას აქვს წარმოდგენილი უნდა ასახავდეს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში “ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია”. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

7. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
8. საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები;
9. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

თარიღი: 28.11.2023

რ. ხუცოშვიდი